წელიწადი მეათე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . 14 76
რედაქტორის მოადგ 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34 ტელეფონი № 8 – 81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით — 12 მან
უცხოეთში
1 თვით — 3 მანეთი

გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68. ტელ. 5—43.

დ ღ ი უ რ ი

- საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება წყალთა ტრანსპორტის კომისარიატის დაარსების შესახებ.
- ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება მრეწველობის მუშაკთა საკ. კონფერენციაზე.
- ამხ. ორჯონიკიძის ბრძანება ხელფასის დავალიანების ლიკვიდაციის შესახებ.

კვირა, 1 თებერვალი 1931 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 27 (2932)

რკინის გზის ტრანსპორტის შესახებ

ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, რკინის გზის, პროფესიონალურ და კომკავშირულ ორგანიზაციებს

მოსკოვი, 30 იანვარი. მიუხედავად მთელი რიგი სერიოზული მიღწევებისა, რკინის გზის ტრანსპორტის უკანასკნელი პერიოდის მუშაობა მოწმობს, რომ ეს მუშაობა აშკარად ჩამორჩება ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მეურნეობის ზრდის ტემპებს, რაც ეხლავე მთელ რიგ სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის გადაზიდვის საქმეს.

აღნიშნული გარემოება მიიღეს მხედველობაში ც. კ.-ის დეკემბრის გაერთიანებულმა პლენუმმა და საბჭოთა კავშირის ცაკის მესამე სესიამ და თავიანთ დადგენილებებში 1931 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: „მუშათა კლასისა და მისი პარტიის განსაკუთრებული მეთვალყურადღების ქვეშ იქნას დაყენებული გადალახვა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ვიწრო ადგილის—რკინის გზის და წყალთა ტრანსპორტის" და „ტრანსპორტის გადაჭრით დაყენება იმ მოთხოვნათა დონეზე, რომელთაც მას უყენებს სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების სწრაფი ზრდა".

ც. კ.-ის პლენუმის ამ დირექტივის წარმატებით შესრულებისათვის საბჭოთა კავშირის ცაკი, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ი საჭიროდ სთვლიან გატარებულ იქნას შემდეგი ღონისძიებანი:

I. რკინის გზის ტრანსპორტის რეკონსტრუქცია და მისი მასალით მომარაგება

1) წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს—არა უგვიანეს 20 თებერვლისა განიხილოს რკინის გზის ტრანსპორტის რეკონსტრუქციის გეგმა და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ ამ გეგმის შესრულებას მრეწველობის მიერ, ამასთან ამ ღონისძიებათა განხორციელება დაწყებულ იქნას 1931 წლიდან. განსაკუთრებით უზრუნველყოფილ იქნას ვადაზე. მთლიანად განხორციელება მანქანათმშენებლობის პროგრამისა, რომელიც გადიდებულ იქნა 612 ორთქლმავლიდან (1929-30 წელს) 1.027 ორთქლმავლამდე (1931 წელს). საქონლის ვაგონები 17,6 ათასიდან (1929-30 წელს), 60.000 (ორღერძიანების) ათასამდე (1931 წელს), რელსები 460.000 ტონიდან (1929-30 წელს) 609.000 ტონამდე (1931 წელს).

2) წინადადება მიეცეს სმუს საბჭოს —მთლიანად და დროზე შეასრულოს ზამბარიანი ცისტერნების მოძრავი შემადგენლობის წარმოების გეგმა, რისთვისაც ლითონის განაწილების დროს უზრუნველყოფილ იქნას მათთვის, პირველ ყოვლისა, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა და სათადარიგო ნაწილების წარმოება.

3) წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს—განიხილოს გზათა სახალხო კომისარიატის სამუშაოთა პროგრამა და საკითხი მრეწველობის მიერ მისი უზრუნველყოფის შესახებ მასალით წყლის მიწოდებისათვის და მექანიზმებით—დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთათვის.

4) წინადადება მიეცეს სმუს საბჭოს —გაერთიანებათა თავმჯდომარეების და ქარხნების დირექტორების პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ, სავსებით და დროზე უზრუნველჰყოს გზათა სახალხო კომისარიატი ორთქლმავალთმშენებლობისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებით.

5. წინადადება მიეცეს გზათა სახალხო კომისარიატს — ერთი თვის ვადაში გაატაროს მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომ ამით უზრუნველყოფილ იქნეს ფრთხილი მოპყრობა მასალისა და სათადარიგო ნაწილებისადმი, მათი რაციონალური გამოყენება და, განსაკუთრებით, მათი მომჭირნეობით ხარჯვა ფერადი ლითონის შავი ლითონით შეცვლის საშუალებით, დამუშავებაზე ზედმეტი ხარჯის გაწევის შემცირების საშუალებით და სხვ.

6. წინადადება მიეცეს ს. მ. უ. საბჭოს — უზრუნველჰყოს ტრანსპორტი ყოველ რიგის გარეშე სათბობით, რომლის დროსაც მხედველობაში მიიღოს აგრეთვე რეზერვის დაგროვების საჭიროება. ამასთან ერთად წინადადება მიეცეს გზათა სახალხო კომისარიატს — გადამჭრელი ზომები მიიღოს სათბობის მომჭირნეობით ხარჯვისათვის ტრანსპორტზე, ხოლო მუშგლეხინის სახ. კომლს, — დაამყაროს სპეციალური მეთვალყურეობა ამ დადგენილების შესრულებაზე. ერთი თვის ვადაში შემცირებულ იქნას სათბობის ფაქტიური ხარჯვა სულ ცოტა 15 პროცენტით, რისთვისაც დაწესებულ იქნას სათბობის ხარჯვის ნორმები და უზრუნველყოფილ იქნას საორთქლმავლო ბრიგადების დაინტერესება სათბობის მომჭირნეობით — მათთვის ასეთი მომჭირნეობისათვის პრემიის მიცემის საშუალებით.

7. გზათა სახალხო კომისარიატმა და გზების დირექციებმა დეკადის ვადაში მოაწყონ შენარევის (მაგარი და თხელი ნახშირის) სისწორით შედგენა ორთქლმავალთა გასახურებლად და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი საორთქლმავლო ბრიგადებისათვის ინსტრუქტაჟის გასაძლიერებლად, და რათა რაციონალურად იქნას გამოყენებული სათბობი.

2. საორთქლმავლო პარკისა და მიმოსვლის პირობების გაუმჯობესება

1. წინადადება მიეცეს გზათა სახალხო კომისარ., მუშგლეხინის სახალხო კომისარიატთან ერთად, ერთი თვის ვადაში მოაწყოს ორთქლმავალთა მიმოსვლისა და მათთვის სამსახურის გაწევის კონკრეტული პირობებისა და სისტემების გულდასმით შესწავლა და შეიტანოს ეს საკითხი განსახილველად სახკომსაბჭოში.

2. გზათა სახალხო კომისარიატმა არ უნდა დაუცადოს ამ საკითხის შესწავლის შედეგებს, არ უნდა გააუქმოს ჯერ - ჯერობით გაუპიროვნებული (ამერიკული) მიმოსვლა და ყველა გზებზე ფართო მასშტაბით შემოიღოს ორი ან სამი ორთქლმავლით მიმოსვლა.

დაევალოს გზათა სახალხო კომისარიატს—გაუპიროვნებული (ამერიკული) მიმოსვლა სრულიად გააუქმოს არა უგვიანეს 20 თებერვლისა 6—8 რკინის გზაზე და ამის ნაცვლად შემოიღოს ორი ან სამი ორთქლმავალით მიმოსვლა.

3. ვინაიდან ძნელია, რომ ორთქლმავალს ორი პირი უწევდეს სამსახურს, რაც გავლენას ახდენს საორთქლმავლო პარკის მდგომარეობაზე, დაევალოს გზათა სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ გააუქმოს ორი პირის მიმოსვლის პრაქტიკა ორთქლმავლებზე, როცა ამ უკანასკნელების გახურება ნახშირისა და მეშის სათბობით ხდება.

4. გზათა სახალხო კომისარიატმა 5 დღის ვადაში დაამუშაოს და დაუგზავნოს ადგილებს მითითება მიმოსვლის სხვადასხვა სისტემის გამოყენების წესის შესახებ და კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა საშუალებითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნას საორთქლმავლო პარკის სათანადოთ შენახვა: კერძოდ, დაუყოვნებლივ დაამუშაოს ინსტრუქცია წინასწარ გაფრთხილებით და მატარებლიდან - მატარებლამდე ორთქლმავლის რემონტის გამაყუების წესის შესახებ, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს რეგულიარულად გარეცხას და მათ ქოვლას, როგორც დეპოს მომუშავეების, ისე საორთქლმავლო ბრიგადების მიერ.

5. დაევალოს სარემონტო ქარხნების სრულიად საკავშირო გაერთიანებას — ორთქლმავლების რემონტის დროს გაცდენის ვადების შემცირებასთან ერთად უზრუნველჰყოს რემონტის ხარისხის გაუმჯობესება და ამასთან ერთად გააძლიეროს სათადარიგო ნაწილების წარმოება ორთქლმავალთა შესაკეთებლად იმდენად, რომ ეს სრულიად ეთანხმებოდეს მათ საჭიროებას.

3. საორთქლმავლო ბრიგადებისა და ორთქლმავალთა შემკეთებელი მუშების შრომის ხელფასი

1. გადაჭრით უარყოფილი უნდა იქნას შრომის ხელფასის გათანაბრების ის პოლიტიკა, რომელსაც ხშირად ატარებდნენ სხვადასხვა კატეგორიის მუშების მიმართ რკინის გზის ტრანსპორტზე იმ მიზნით, რომ გაუმჯობესებულიყო საორთქლმავლო ბრიგადების მუშაობის ხარისხი, უკეთ გაეწიათ მათ სამსახური ორთქლმავლებისათვის, გაუმჯობესებულიყო მდგომარეობა ორთქლმავლების, გაუმჯობესებულიყო მატარებელთა განრიგებით მოძრაობის მდგომარეობა, კვალიფიციური კადრების მიმაგრება ტრანსპორტზე და ახალი კადრების მიზიდვა, — და წინადადება მიეცეს რკინისგზელთა ცენტრალურ კომიტეტს და გზათა სახალხო კომისარიატს — უზრუნველჰყონ ნამდვილად განხორციელება საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის 1931 წლის 20 იანვრის დადგენილებისა საორთქლმავლო ბრიგადებისათვის შრომის ხელფასის შესახებ კილომეტრობითი გასამრჯელოს გადიდების საშუალებით, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი:

ა) სამგზავრო მატარებლების მემანქანეებისათვის საკილომეტრო გასამრჯელოს რაოდენობა დაწესდეს 100 პროცენტის ანგარიშით ძირითადი სატარიფო ცხრილის მიმართ, რაც შეადგენს 252 მან. 115 პროცენტიანი ზოლის მიხედვით, არსებულ 209 მან. ნაცვლად

ბ) საბარგო მატარებლების და მძლავრი სერიების ორთქლმავლების მემანქანეებისათვის დაწესდეს საკილომეტრო გასამრჯელო 100 პროც. ანგარიშით ძირითადი სატარიფო განაკვეთის მიმართ, რაც შეადგენს 225 მან. 80 კაპ. 106-პროცენტიანი ზოლის მიხედვით, არსებულ 208 მან. ნაცვლად.

გ) საბარგო მატარებლების მემანქანეებისათვის, რომლებიც მცირე ძალიან სერიების ორთქლმავლებზე მუშაობენ, საკილომეტრო გასამრჯელო დაწესდეს 80 პროც. ანგარიშით ძირითადი სატარიფო განაკვეთის მიმართ, რაც შეადგენს 204 მან. 115-პროცენტიანი ზოლის მიხედვით, არსებულ 188 მან. 55 კაპ. ნაცვლად.

დ) სამგზავრო და საბარგო მატარებლების მემანქანეების თანაშემწეებისათვის, რომელთაც ორთქლმავლის მართვის უფლება აქვთ, საკილომეტრო გასამრჯელო დაწესდეს 70 პროცენტის ანგარიშით ძირითად სატარიფო განაკვეთის მიმართ, რაც შეადგენს 178 მან 50 კაპ. არსებულ 142 მან. 50 კაპ. ნაცვლად.

ე) სამგზავრო და საბარგო მატარებლების მემანქანეთა თანაშემწეებისათვის, რომელთაც არ აქვთ ორთქმავლის მართვის უფლება, საკილომეტრო გასამრჯელო დაწესდეს 70 პროცენტის ანგარიშით ძირითად სატარიფო განაკვეთის მიმართ, რაც შეადგენს 164 მან. 90 კაპ. არსებულ 132 მან. 50 კაპ. ნაცვლად.

სამუშაო ხელფასი მატარებლების ცეცხლფარეშებისათვის დაწესდეს პირველი ჯგუფის მიხედვით 100 მანეთამდე თვეში და მეორე ჯგუფის მიხედვით — 90 მან. თვეში, ნაცვლად 84 მან. და 75 მანეთისა.

ვ) მემანევრე მემანქანეების ხელფასი დაწესდეს 180 მან. რაოდენობით 115 პროცენტიანი ზოლის მიხედვით, ნაცვლად არსებულ 152 მანეთისა.

ზ) მემანევრე მემანქანეების თანაშემწეებისათვის დაწესდეს ხელფასი 125 მან. 50 კაპ. რაოდენობით 115 პროცენტიანი ზოლის მიხედვით, ნაცვლად არსებულ 112 მანეთისა.

2. მატარებლების მემანქანეების და თანაშემწეების საკილომეტრო გასამრჯელოს გაცემა უნდა დაუკავშირდეს მათი მუშაობის ხარისხს, სახელდობრ:

ა) მგზავრობა დაუგვიანებლად განრიგების მიხედვით გარბენის ნორმების შესრულებით.

ბ) იმ წესების შესრულება, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მატარებლების მოძრაობის უშიშროებას.

გ) ორთქლმავლების შენახვა წესიერად და სუფთად.

ჩამოთვლილ პირობების შეუსრულებლობის დროს უნდა მოხდეს გამოქვითვა საკილომეტრო გასამრჯელოდან.

მემანევრე ბრიგადები საკილომეტრო გასამრჯელოს ნაცვლად ღებულობენ ზედმეტ ხელფასს სამანევრო მუშაობის წარმატებით შესრულებისათვის.

3. რემონტის ხარისხის გაუმჯობესების და მაღალი კვალიფიკაციის მუშების მოზიდვის მიზნით, გაუდიდდეს ხელფასი იმ მუშებს, რომლებიც აწარმოებენ ორთქლმავლების რემონტს, და შემოღებული იქნეს ვალდებულება შესასრულებელი მუშაობის ხარისხისათვის.

იმ უმაღლესი კვალიფიკაციის მუშაკების ხელფასი, რომლებიც აღნიშნული სახის რემონტს აწარმოებენ, აყვანილ უნდა იქნეს 175 მანეთამდე თვეში 115 პროცენტიანი ზოლის მიხედვით, ნაცვლად არსებულ 160 მანეთისა.

4. იმ პირთა ხელფასი, რომლებიც ორთქლმავლების რემონტის საქმის დაყენებას გაძღვებიან (ოსტატები, ოსტატების თანაშემწეები, მასტიორები), გადიდდეს იმ მუშათა ჯგუფების ხელფასის გადიდების პროპორციონალურად, რომლებსაც ისინი უწევენ ხელმძღვანელობას, რათა უფრო კვალიფიციურ მუშებს ექნეთ სტიმული დაბალი ადმინისტრაციულ-ტექნიკური თანამდებობის დაკავებისათვის.

5. ამასთან ერთად გაუდიდდეს შრომის ხელფასი იმ საწარმოთა მთელ დაბალ და საშუალო ტექნიკურ პერსონალს, რომელიც დაკავშირებულია მატარებლების მოძრაობასთან, მოძრავი შემადგენლობის რემონტთან იმავე ოდენობით, როგორადაც მუშების ხელმძღვანელ ჯგუფებს (დეპოს მორიგეები, მემანქანე - დამრიგებლები, დისპეტჩერები, სადგურის უფროსები და მათი თანაშემწეები, მატარებელთა შემდგენლები, მთავარი კონდუქტორები).

4. გადაზიდვის დაგეგმვა და მოწესრიგება

1. მატარებლების მოძრაობის ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად საჭიროდ იქნას აღიარებული სიზუსტის შეტანა მიმოზიდვის გეგმების შედგენისა და შეცვლის წესში ისე, რომ სრული შეთანხმება არსებობდეს მათ შორის. დატვირთვის გეგმებთან ერთად შედგენილ იქნას აგრეთვე დატვირთული და ცარიელი ვაგონების გაცვლის პუნქტებში ჩაბარებისა და მიღების გეგმები, რისთვისაც უნდა დაწესდეს ფხიზელი მეთვალყურეობა სავალდებულო ნორმების შესრულებაზე.

2. იმ მიზნით, რომ შეთანხმებულდაკავშირებულ იქნას სამრეწველო საწარმოთა მუშაობა რკინისგზის ტრანსპორტის მუშაობასთან, წინადადება მიეცეს ს.მ.უ. საბჭოს ერთი თვის ვადაში დაამუშაოს კონკრეტული წინადადებანი საქარხნო შინაგანი ტრანსპორტის მუშაობის იმგვარად მოწყობის შესახებ, რომ ამან უზრუნველჰყოს როგორც საწარმოთა ნორმალური განვითარება, ისე რკინის გზების შეუწყვეტელი მუშაობა, და, გზათა სახალხო კომისარიატთან შეთანხმების შემდეგ, შემოიტანოს შრომისა და თავდაცვის საბჭოში.

3. იმისათვის, რომ გაუმჯობესებულ იქნას გადაზიდვის დაგეგმვა და მოძრავი შემადგენლობის უკეთესად გამოყენება, დაევალოს გადაზიდვათა განსაკუთრებულ თათბირს — გზათა სახალხო კომისარიატს, ს.მ.უ. საბჭოს, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, მომარაგების სახალხო კომისარიატს და „ცენტროსოიუზ"-ს— ერთი თვის ვადაში დაამუშაოს და გაატაროს კონკრეტული ღონისძიებანი გადასაზიდი საქონლის უფრო ზუსტად აღრიცხვისათვის, რომლის დროსაც გადაზიდვის მოწესრიგება უნდა ხდებოდეს ტვირთის მნიშვნელობის მიხედვით.

4. დაწესებულ იქნას მრეწველობისა და ვაჭრობის ორგანოების პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მოძრავი შემადგენლობის მისაღებად წარდგენილი მოთხოვნები რეალური იყოს. ამასთან წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის მუშგლეხინს — გააძლიეროს ბრძოლა მოძრავი შემადგენლობის არარაციონალურად გამოყენებისა და სამეურნეო გაერთიანებების, დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების მიერ არარეალური მოთხოვნათა წარმოდგენის წინააღმდეგ.

5. წინადადება მიეცეს გზათა სახალხო კომისარიატს — გადაზიდვის გეგმებთან ერთად დააწესოს გაცვლის პუნქტებში დატვირთული და ცარიელი ვაგონების ჩაბარებისა და მიღების გეგმები, რისთვისაც დამყარდეს ფხიზელი მეთვალყურეობა სავალდებულო ნორმების შესრულებაზე.

6. დაევალოს გზათა სახალხო კომისარიატს — მიიღოს უაღრესად გადამჭრელი ზომები რკინის გზების იმ დირექციებისა და რაიონების წინააღმდეგ, რომლებიც არღვევენ გზათა სახალხო კომისარიატის მომწესრიგებელ განკარგულებებს, და ზეგავლენის ზომები გავრცელდეს თვით პასუხისგებაში მიცემამდე და თანამდებობიდან მოხსნამდე.

7. დაევალოს გზათა სახალხო კომისარიატს — არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას შემხვედრი გადაზიდვის შემთხვევები.

5. რკინის გზის ტრანსპორტის მართვის ორგანიზაცია

შეტანილ იქნას შემდეგი ძირითადი ცვლილებანი რკინის გზის ტრანსპორტის იმ საორგანიზაციო ხასიათის რეფორმაში, რომელიც გზათა სახალხო კომისარიატის მიერ გატარებულ იქნა 1930 წელს.

1. სადგურის უფროსს დარჩეს ტექნიკური და კომერციული ექსპლოატაციის ფუნქციები, მოძრაობის მოწესრიგება, მატარებელთა მიღება, შედგენა და გაგზავნა, სადგურზე წესრიგის მეთვალყურეობა, თავის დროზე დატვირთვის და გადმოტვირთვის, აგრეთვე ტელეფონის და ტელეგრაფის ექსპლოატაციის მეთვალყურეობა.

2. მექანიკური დარგის მეურნეობის გაძღოლის სწორი ორგანიზაციისათვის გამოიყოს ძირითადი და მცირე დეპო, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, დეპოს უფროსის სათავეში, და ის უშუალოდ დაუქვემდებარდეს რაიონს. დეპოს მოვალეობას შეადგენს მიმდინარე რემონტი და მთელი მოძრავი შემადგენლობის (ვაგონები და ორთქლმავლები) შენახვა. დეპოსვე შეუერთდეს ელექტროსადგური და წყალთა მომარაგება.

3. საგზაო მეურნეობის განსაკუთრებით მიწის ვაკისის, რელსების და შპალების მეურნეობის და ხელოვნურ ნაგებობათა მოვლა - პატრონობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის, დისტანციების შემადგენლობით აღდგენილ იქნას საგზაო ოსტატთა შტატი, თითო 15-20 კილომეტრზე.

4. დისტანციების და საგზაო ოსტატების მუშაობის მხოლოდ გზის მოვლასა და რემონტზე თავმოყრის მიზნით, მსხვილ საკვანძო სადგურებზე ისინი განთავისუფლებულ იქნან სამოქალაქო ნაგებობათა და მათი რემონტის მეთვალყურეობის მოვალეობათაგან და ამისათვის შეიქმნას სპეციალური პატარა ორგანო.

5. სადგურის, დისტანციის და დეპოს სტრუქტურასა და ფუნქციებში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით და აპარატის საუკეთესო ორგანიზაციის მიზნით, შეიცვალოს რაიონის სტრუქტურა და, რაიონულ სამმართველოში ახლა არსებულ მრავალრიცხოვან ჯგუფების (19-22) ნაცვლად, შეიქმნას არა უმეტეს 6-7 განყოფილებისა, რომელთა ფუნქციები არსებითად უნდა შეეფარდებოდენ ქვედა სამეურნეო ერთეულების ფუნქციებს. რაიონებში შეიქმნას, დაახლოვებით, შემდეგი განყოფილებები: ექსპლოატაციის, მექანიკური და გზის, ელექტრო - ტეხნიკის და სიგნალიზაციის, საგეგმო - ფინანსიური, შრომის და კადრების.

6. დირექციის სტრუქტურა შეეფარდოს რაიონის შეცვლის სტრუქტურას, იქ რაციონალიზაციის განყოფილების დატოვებით.

7. გაუქმდეს გზათა სახალხო კომისარიატის მთავარი დირექცია და შეიქმნას დამოუკიდებელი სამმართველო გზათა სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში, გზათა დირექციის სამმართველოებსა და რაიონების განყოფილებებთან (ექსპლოატაციის, მექანიკური და გზის, კავშირგაბმულობის და სიგნალიზაციის და სხვ.) შეფარდებით. თვითეული სამმართველოს სათავეში ჩაყენებულ იქნას კოლეგიის წევრი.

8. მთელი რეორგანიზაცია უნდა მოხდეს არა უგვიანეს 1931 წლის 15 თებერვლისა იმ ანგარიშით, რომ იგი ჩატარდეს არა მექანიკურად, არამედ საფუძვლიანად იქნას მომზადებული და ქვედა მუშაკებს განემარტოთ სათანადო ინსტრუქციების მიცემის და გზათა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელი მუშაკების ადგილებზე გამგზავრების წესით.

6. კადრები

1. რკ. გზის ტრანსპორტის სტრუქტურის და ფუნქციის შეცვლასთან დაკავშირებით, წინადადება მიეცეთ გზათა დირექტორებს და ადგილობრივ პარტორგანიზაციებს — ერთი თვის ვადაში შეავსონ რაიონების დეპოების და სამექანიკო განყოფილებების ხელმძღვანელი პერსონალი.

2. წინადადება მიეცეთ გზათა სახალხო კომისარიატს და გზათა დირექტორებს — არა უგვიანეს 15 თებერვლისა უზრუნველყონ სათანადო ხელმძღვანელობა უფრო მსხვილი სადგურების მიმართ ექსპლოატაციის ნაწილში, განსაკუთრებით მათი შევსების გზით როგორც საექსპლოატაციო დარგის გამოშვებულ ახალგაზრდა მუშაკების ხარჯზე, ისე საექსპლოატაციო დარგის იმ ძველ მუშაკების ხარჯზე, რომელნიც არა სპეციალობის მიხედვით მუშაობენ.

3. გზათა სახალხო კომისარიატმა და გზათა დირექტორებმა არა უგვიანეს 15 მარტისა გაამარგონ ძირითადი რაიონები (30-40). რკინის გზის ტრანსპორტის ქვედა რგოლების კვალიფიციურ მუშაკებით განმტკიცებისა და შევსებისათვის გზათა სახალხო კომისარიატის და გზათა დირექციის აპარატიდან ერთი თვის ვადაში გადაგზავნილ იქნას არა ნაკლებ 250-300 კვალიფიციურ ინჟენერტეხნიკოსთა მუშაკებისა და ეს გადაგზავნა პირველ რიგში ჩატარდეს უმნიშვნელოვანეს მაგისტრალებსა და საკვანძო სადგურებზე.

4. წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატს — მშენებლობის მუშა-ხელით უზრუნველყოფისა და მისი განაწილების დროს სარკინიგზო მშენებლობის უმთავრესი ობიექტები (ნოვო - სიბირსკი - ლენინსკი, სვერდლოვსკი - ვიატკა - კოტელნიჩის მეორე გზები, კოლჩუგინსკის ხაზის მეორე გზები, რუზაევკა-სიზრანი, ჩელიაბინსკი-ომსკი (გამოტოვებულია) და სხვ.) გაუთანაბროს სახალხო მეურნეობის ისეთ პირველრიგოვან მშენებლობას, როგორიცაა მაგნიტოსტროი, კუზნეცკსტროი და სხვ.

5. ვინაიდან არასაკმაოა ისეთი კვალიფიციურ მემანქანეების და მათი თანაშემწეების რიცხვი, რომელთაც შეეძლოთ საორთქლმავლო პარკის გაჯანსაღების და სწორი ექსპლოატაციის უზრუნველყოფა, წინადადება მიეცეთ შრომის სახალხო კომისარიატს, პროფკავშირებს და ყველა პარტორგანიზაციებს — ორი თვის ვადაში დააბრუნონ რკინის გზის ტრანსპორტზე ყველა ის მემანქანეები და მემანქანეთა თანაშემწენი, რომელნიც ტრანსპორტიდან წავიდენ უკანასკნელ ხუთი წლის მანძილზე და ამჟამად არასპეციალობის მიხედვით მუშაობენ.

6. დაევალოთ გზათა სახალხო კომისარიატს და რკინისგზელების ცენტრალურ კომიტეტს — ჩაატარონ მთელი რიგი ღონისძიებები სხვადასხვა როგორც დაწყებითი, ისე საგამოცდო კურსების მოსაწყობად მექანიკური და ექსპლოატაციის დარგების მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

7. შრომის დისციპლინა და პროფკავშირების მუშაობა

1. ვინაიდან ტრანსპორტის მუშაობა უაღრესად დაჭიმულია და მას საპასუხისმგებლო როლი აწევს როგორც სახალხო მეურნეობის განვითარების დაპროექტებულ ტემპების მიღწევის საქმეში, ისე ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების დარგში, საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სახკომსაბჭო უმნიშვნელოვანეს ამოცანად სახავენ ტრანსპორტზე როგორც მუშებს და მოსამსახურეებს შორის, ისე ადმინისტრატიულ პერსონალს შორის შრომის დისციპლინის დარღვევის სწრაფ და გადამჭრელ აღმოფხვრას.

2. ვინაიდან სატრანსპორტო ორგანიზაციები უკიდურესად ჩამორჩენილი არიან ტრანსპორტზე ერთმმართველობის განხორციელების საქმეში, მთელმა ხელმძღვანელმა ადმინისტრატიულ - სამეურნეო პერსონალმა უმოკლეს ვადაში მიაღწიოს ძირითად გარდატეხას ამ საქმეში.

3. გარდაიქმნას თავიდან ბოლომდე რკინისგზელ მუშათა პროფკავშირის მუშაობა პროფკავშირული დისციპლინის განმტკიცების და რკინისგზის ტრანსპორტის გაუმჯობესების საქმისათვის ფართო მასების მობილიზაციის თვალსაზრისით. წინადადება მიეცეს საკავშირო პროფსაბჭოს — ორი თვის ვადაში მოახდინოს კავშირის მუშაობის საჭირო შემოწმება.

4. ტრანსპორტის ყველა პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ მუშა-ხელის ცვალებადობასთან და კერძოდ ადმინისტრატიულ - ტეხნიკური და ხელმძღვანელი პერსონალის შეცვლასთან, განსაკუთრებით ქვედა სამეურნეო ორგანოებში (დეპო, სადგური, სახელოსნო).

5. წინადადება მიეცეთ სამხარეო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, რკინისგზელთა საგზაო კომიტეტების ფრაქციებთან ერთად, 1931 წლის თებერვლის განმავლობაში დაამთავრონ რკინისგზელთა რაიონული კომიტეტების შემოწმება და მათი კადრებით გამაგრება.

6. რკინის გზის ტრანსპორტზე მუშათა ძირითადი ჯგუფების საწარმოო აქტივობის ამაღლების და გამოყენების მიზნით, საჭიროდ იქნას ცნობილი რკინისგზელთა რაიონული კომიტეტების და რკინისგზელთა საგზაო კომიტეტების პროფკავშირული ორგანიზაციების და რკინისგზელთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში მოეწყოს საორთქლმავლო ბრიგადების და საგეგმო-განმანაწილებელი რემონტის, მოძრაობის, გზის, შემკეთებელ ქარხნების, სრულიად საკავშირო გაერთიანების, დატვირთვა-გადმოტვირთვის და სხვა საწარმოო სექციები.

7. პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მასიური მუშაობის ძირითად ამოცანას წარმოებაში უნდა შეადგენდეს დამკვრელობის და სოცშეჯიბრების ახალი ალტყინების უზრუნველყოფა და როგორც მრეწველობიდან, ისე ტრანსპორტის შიგნით. ერთი გზიდან მეორეზე, მასიურ მუშაობის ნიმუშების გადტანა და მათი გავრცელება რკინის გზის მთელ ტრანსპორტზე, განსაკუთრებით ქვედა საწარმოო რგოლში, როგორიცაა სამქრო-რემონტის ჯგუფი, გზის რემონტი, მოსიარულე ბრიგადები და სხვ.

8. წინადადება მიეცეთ მომარაგების სახალხო კომისარიატს, ცენტროსოიუზს და ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს—უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ რკინისგზელთა მომარაგების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების გატარება, პასუხისგებაში მისცენ ის პირები და ორგანიზაციები, რომელნიც ამ დირექტივებს არ ასრულებენ, და დააწესონ შესრულების გულდასმითი შემოწმება. დააჩქარონ ცხოვრებაში იმ დადგენილების გატარება. რომელიც ეხება ცალკე სატრანსპორტო-სამომხმარებლო კოოპერაციის აღდგენას.

9. უზრუნველყოფილ იქნას რკინისგზელების, განსაკუთრებით მატარებელთა მოძრაობასთან დაკავშირებული კატეგორიების, სპეცტანსაცმელით მომარაგება.

10. განთავისუფლებულ იქნას რკინის გზის ტრანსპორტის კუთვნილ სახლებში მთელი საცხოვრებელი ფართობი იმ პირებისაგან, რომელთაც მათთან დამოკიდებულება არა აქვთ, ან რომლებმაც ტრანსპორტთან კავშირი დაჰკარგეს. ზედამხედველობის ორგანოებმა შეამოწმონ ადგილობრივი ორგანიზაციების მხრივ ამ გადაწყვეტილების შესრულება, იმ ანგარიშით რათა აღნიშნულ საცხოვრებელი ფართობის ფაქტიური განთავისუფლება დამთავრდეს არა უგვიანეს 1931 წლის პირველი ივლისისა.

წინადადება მიეცეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს—განიხილოს 1931 წლისათვის ტრანსპორტის საბინაო მშენებლობის გეგმა, მისი გადიდების მიმართულებით.

პარტიული და საბჭოთა-სამეურნეო ორგანიზაციები პირით რკინის გზის ტრანსპორტისაკენ

1. პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სახკომსაბჭო ადგილობრივ პარტორგანიზაციებს და ალმასკომებს ტრანსპორტის შესახებ ცენტრალური კომიტეტის და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებათა თავის დროზე განხორციელებისათვის ისეთსავე პასუხისმგებლობას აკისრებენ, როგორც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანიების (პურის დამზადება, გაზაფხულის თესვის კამპანია, მაჩვენებელნი მრეწველობის დარგში და სხვ.). ჩატარებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სადგურების პარტკომიტეტების და სადგურების და დეპოების უჯრედების მუშაობას, მათი პარტიული ძალებით განმტკიცებას, პატარა სადგურებზე პარტფენის გადიდებას და პარტუჯრედების ორგანიზაციას იქ, სადაც ასეთები არ არის.

2. იმის გამო, რომ სატრანსპორტო რაიონები არ შეესაბამებიან ადმინისტრატიულ რაიონებს და შეიცავენ 6—8 ადმინისტრატიული რაიონის ტერიტორიას, ტრანსპორტზე პარტმუშაობის გაუმჯობესების და მისთვის საბრძოლო ხასიათის მიცემის მიზნით, საჭიროდ იქნას ცნობილი მდივნების—პარტმუშაობის ორგანიზაციების ინსტიტუტის შემოღება, მათ უნდა უხელმძღვანელონ თავის სატრანსპორტო რაიონის ფარგლებში რკინის გზის ყველა უჯრედებს და სადგურის კომიტეტებს.

3. წინადადება მიეცეთ სამხარეო და საოლქო კომიტეტებს—მიიღონ გადამწყვეტი ზომები შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად პირველ რიგში პარტიის წევრებს შორის და ამისათვის არ დაერიდონ დეზორგანიზატორების, მაჩანჩალების, პარტიული დირექტივების არშემსრულებლების და სხვათა მოხსნას თანამდებობიდან და პარტიიდან გამორიცხვას.

4. წინადადება მიეცეთ სამხარეო და საოლქო კომიტეტებს—ორი თვის განმავლობაში ტრანსპორტზე პარტიული მუშაობისათვის გადაგზავნონ არა ნაკლებ 1.000 პარტმუშაკისა პარტკადრების მხრივ ყველაზე სუსტ უმნიშვნელოვანესი გზების უზრუნველსაყოფად.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებენ ყველა პარტიულ, საბჭოთა-სამეურნეო, სარკინისგზო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს—დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობა ამ დადგენილების განსახორციელებლად იმ ანგარიშით, რათა გულდასმითი მომზადებით, მუშათა მასების შემოქმედებითი აქტიობის მობილიზაციით და ტექნიკური პერსონალის მაქსიმალური ჩაბმით უმოკლეს ვადაში გაატარონ ის ცხოვრებაში და მიაღწიონ გადამწყვეტ გარდატეხას რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობაში.

1931 წლის 15 იანვარი.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი (სკრიაბინი).
საკ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის მდივანი ი. სტალინი.

მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო კონფერენცია

ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება

მოსკოვი, 31 იანვარი. გაიხსნა მრეწველობის მუშაკთა პირველი სრულიად საკავშირო კონფერენცია.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ამხ. ორჯონიკიძე, პავლუნოვსკი, კასიორი, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი პოსტიშევი, შვერნიკი, აკულოვი (ცენტრალური საკონტროლო კომისია—მუშათა და გლეხთა ინსპექცია), ქარხნების გაერთიანებათა თავმჯდომარენი და მშენებლობათა ხელმძღვანელნი.

საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად, მქუხარე ტაშის ცემით, არჩეულ იქნენ ამხ. სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი, რუძუტაკი, კუიბიშევი, კიროვი, სტანისლავ კოსიორი, ანდრეევი.

შემდეგ ამხ. ორჯონიკიძემ გააკეთა მოხსენება თემაზე: „1931 წლის საკონტროლო ციფრები და სამეურნეო მუშაკთა ამოცანები".

ორი წლის უდიდესმა მიღწევებმა,—ამბობს ამხ. ორჯონიკიძე,—უკვე ცხადჰყვეს ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შესაძლებლობა, ჩვენ წინ მივდივართ უდიდესი, ისტორიაში გაუგონარი ტემპებით. კაპიტალისტურ ქვეყნებში მსოფლიო კრიზისის ზეგავლენით ხდება პროდუქციის საგრძნობლად შემცირება. ჩვენ კი არა თუ 100 პროცენტით, არამედ გადამეტებითაც ვასრულებთ ხუთწლიან გეგმას. ხუთწლედის ვარაუდებს გადავაჭარბებთ კაპიტალური დაბანდებების, პროდუქციის ზრდის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და ნათესი ფართობის გადიდების სფეროში. მარტო გასული წლის განმავლობაში ჩვენს მრეწველობაში ჩაბმული მუშების რიცხვი 700 ათასი კაცით გაიზარდა, შრომის ხელფასი ამ ორი წლის განმავლობაში 12 პროცენტით გადიდდა.

1931 წელს ჩვენი ზრდა უფრო ბუმბერაზული უნდა იყოს. განსაზოგადოებულ სექტორში უნდა დავაბანდოთ 17 მილიარდი მანეთი, ნაცვლად 1930 წელს დაბანდებული 10 მილიარდი მანეთისა, მრეწველობაში დაბანდებულ უნდა იქნას 5 ნახევარი მილიარდი მან. და, გარდა ამისა, 850 მილიონი მან. ელექტროფიკაციაში. ამგვარად, 1929-30 წელთან შედარებით, 1931 წელს კაპიტალური დაბანდებანი თითქმის ერთი ორად გაიზრდება. ამ თანხების განაწილების დროს ჩვენ, პირველ ყოვლისა, ვხელმძღვანელობდით იმით, რომ აუცილებლად უზრუნველვყოთ შესრულება პარტიის მე-16 ყრილობის დირექტივის 1931 წელს თუჯის გამოდნობის 17 მილიონ ტონამდე აყვანის შესახებ.

შემდეგ, ჩვენ მიზნად ვისახავთ ახალ საწარმოთა მაქსიმალური რიცხვის ჩაბმას წარმოებაში. ამჟამად იმ მშენებლობებში, რომლებიც ჯერ არ დამთავრებულან, ჩვენ ჩადებული გვაქვს 4 ნახევარი მილიარდი მანეთი. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მიმდინარე წელს ავამუშაოთ 5 მილიარდი მანეთის ღირებულების ახალი საწარმონი. ეს ნიშნავს ერთი წლის განმავლობაში ჩვენი მრეწველობის ძირითადი კაპიტალის გადიდებას თითქმის 50 პროცენტით. ამასთან ის გადიდება მოხდება უახლესი ტეხნიკის საფუძველზე მოწყობილ ქარხნების საშუალებით.

მიმდინარე წლის მეორე მნიშვნელოვანი ამოცანაა—მოწყობილობის წარმოების მაქსიმალურად გაფართოება ჩვენს ქვეყანაში. მიმდინარე წლის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დაზგების მშენებლობასა და ინსტრუმენტალური საქმის განვითარებას. ფერადი მეტალურგიის გაფართოებას და სათბობის ამოღების მაქსიმალურად დაჩქარებას. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ შეიმუშავა 1931-32-33 წლის სათბობის ამოღების გადიდებული პროგრამა.

ამ ამოცანების შესრულება მოითხოვს ძალებისა და სახსრების უდიდეს დაჭიმვას და მთელი ჩვენი მუშაობის რადიკალურად გარდაქმნას. არ შეიძლება საგეგმო დავალებათა შეუსრულებლობის გამართლება სატრანსპორტო დაბრკოლებებსა და მასალის სიმცირეზე მითითებით.

შემდეგ ამხ. ორჯონიკიძე აყენებს მთელ რიგ საჭირბოროტო პრაქტიკულ საკითხებს, რომელთაც კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

საჭიროა პირველ რიგში დასახულ იქნას ზომები ფაბრიკა-ქარხნების საწარმოო მომარაგების მოსაწესრიგებლად. ცენტრალიზაცია, რომელსაც ამ საქმეში დავადექით, ეხლა აღარ გვაკმაყოფილებს. ამჟამად ფაქტიურად არავინ არ არის პასუხისმგებელი მოწყობილობასა და მასალაზე ამა თუ იმ დაკვეთის შესრულებისათვის. სამეურნეო ანგარიში ფაქტიურად ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული. საჭიროა შემოღებულ იქნას უშუალო ხელშეკრულებების დადება მიმწოდებელ ქარხანასა და დამკვეთელ ქარხანას შორის ხელშეკრულებათა შესრულებისათვის სრული მატერიალური პასუხისმგებლობით რიცხვის, ხარისხის და ვადების მხრივ. საჭიროა აგრეთვე გადავიდეთ რკინის გზასთან ხელშეკრულების დადების სისტემაზე. ამჟამად მრეწველობა ფულს იხდის ვაგონების გაცდენისათვის. რკინის გზა პასუხს უნდა აგებდეს ტვირთის დროზე არ მიწოდებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კაპიტალური მშენებლობის მოწესრიგებას. ჩვენ უამრავ თანხებს ვხარჯავთ, მაგრამ არ ვიცით, როგორია ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა. მიუხედავად ზოგიერთი მიღწევისა უკანასკნელ წლებში, ჩვენ მაინც მშენებლობა მეტად ძვირად გვიჯდება. ხშირად არ არის ხარჯთაღრიცხვები. აქამდის მშენებლობის ხარჯების სხვადასხვა ნორმების გამოსარკვევად ვსარგებლობთ იმ დებულებით, რომელიც შედგენილია ჯერ კიდევ 1869 წელს და რომელიც მას შემდეგ საგრძნობლად არ შეცვლილა. ყოველივე ამის შედეგია მშენებლობის სიძვირე და მუშა-ხელის სიჭარბე ბევრ მშენებლობაზე.

ამხ. ორჯონიკიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამჟამად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი საწარმოების რაც შეიძლება ჩქარა აგება და მათი ამუშავების დაჩქარება.

ჩვენი მშენებლობის ძირითად დეფექტს წარმოადგენს მუშა-ხელის არარაციონალური გამოყენება. ჩვენს მშენებლობებზე ხშირად მუშები დატვირთულნი არიან დღეში მხოლოდ 4-5 საათს. შრომის ნაყოფიერება მეტად დაბალია. ბევრ მშენებლობაზე დამკვრელი ბრიგადები შრომის დიდ ნაყოფიერებას იძლევიან. შრომის მცირე ნაყოფიერების გამო ბევრ მშენებლობაში არის მუშა-ხელის სიჭარბე და იზრდება მოთხოვნილება სურსათ-სანოვაგეზე და საწარმოო ტანსაცმელზე.

დავალებანი მრეწველობაში თვითღირებულების შემცირების შესახებ არ შესრულებულა არც 1929—1930 წელს და არც განსაკუთრებულ კვარტალში. მიმდინარე წელს თვითღირებულება უნდა შემცირდეს 10 პროცენტით. მთელი მრეწველობისათვის ეს შეადგენს ერთნახევარ მილიარდ მანეთამდე. თუ ეს დავალება არ შესრულდა, მრეწველობის ფინანსიური სახსრები საგრძნობლად შემცირდება და ეს გამოიწვევს კაპიტალურ მშენებლობაში სახსრების დაბანდების სათანადო შემცირებას. სწორედ ამიტომ თვითღირებულების საკითხი ყველა სამეურნეო მუშაკთა ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. ჩვენ მოვალენი ვართ, გავშალოთ ენერგიული ბრძოლა თვითღირებულების შემცირების გეგმის მთლიანად განხორციელებისათვის.

ჯერ კიდევ სავსებით არ არის შესრულებული დირექტივა ერთმმართველობის შესახებ. დამახასიათებელია, რომ იმ საწარმოთა დირექტორებს, რომელნიც ადგილებიდან მოდიან სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, ხშირად თან ახლავენ მუშათა ბრიგადები. ეს მოწმობს, თუ რამდენად დიდია ჯერ კიდევ საწარმოთა ხელმძღვანელებში მისწრაფება თავიდან მოიშორონ პასუხისმგებლობა, ჩვენ ვალდებულნი ვართ მივაღწიოთ ერთმმართველობის სრულ განხორციელებას ყველა მშენებლობებზე, ქარხნებსა და ფაბრიკებში.

სიტყვის დასასრულს ამხ. ორჯონიკიძემ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დამკვრელობას და სოციალისტურ შეჯიბრებას და განაცხადა, რომ საწარმოს ყოველ დირექტორს უნდა ჰქონდეს უნარი ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ მოძრაობას, სამეურნეო მუშაკნი ვალდებულნი არიან ფართოდ გამოიყენონ მუშათა ინიციატივა და დამკვრელ მუშათა შემოქმედებითი გამოცდილება გადაიტანონ სხვა საწარმოებშიაც.

ამ კონფერენციამ უნდა დაამუშაოს მრეწველობის ძირითადი საკითხები, რათა კონფერენციის მონაწილეები, ადგილებზე დაბრუნების შემდეგ, დაკვირთი ტემპით შეუდგნენ მიმდინარე წლის პროგრამის განხორციელებას. ჩვენ პირველ კვარტალშივე უნდა ნათელვყოთ, რომ შევასრულებთ მიმდინარე წლის დავალებებს და ამავე დროს ნათელვყოთ, რომ ხუთწლედი შესრულდება არა თუ ოთხ წელიწადში, არამედ მრეწველობის ბევრ დარგში სამ ნახევარ წელიწადშიაც.

ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი.

ამხ. ს. ორჯონიკიძის ბრძანება

ხელფასის დავალიანების ლიკვიდაციის შესახებ

მოსკოვი, 31 იანვარი. რადგან მრეწველობის მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის თავის დროზე მიცემას და დავალიანების ლიკვიდაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ორჯონიკიძემ უბრძანა შრომის ეკონომიკის სექტორს—უშუალო მეთვალყურეობა გაუწიოს მრეწველობის მიერ მთავრობის იმ დირექტივის ზუსტად შესრულებას, რომელიც დავალიანების ლიკვიდაციას ეხება. გაერთიანებებმა და ტრესტებმა დაუყოვნებლივ გამოჰყონ გამგეობის წევრი, რომელიც პასუხს აგებს ხელფასის დავალიანების ლიკვიდაციისათვის.

საწარმოთა დირექტორებს დაეკისროსთ პერსონალური პასუხისმგებლობა დავალიანების ლიკვიდაციისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების სმუ საბჭოებს წინადადება მიეცეთ—გასცენ შესატყვისი განკარგულება ხელქვეით ორგანოების მიმართ (ადს).

წყალთა ტრანსპორტის კომისარიატი

მოსკოვი, 31 იანვარი. საბჭოთა კავშირის ცაკი და სახკომსაბჭო ადგენენ:

1. გზათა სახალხო კომისარიატის გამგებლობიდან გამოყოფილი იქნას მდინარისა და ზღვის ტრანსპორტი და მთელი სანავსადგურო მეურნეობა.

2. მდინარისა და ზღვის ტრანსპორტის და მთელი სანავთსადგურო მეურნეობის მმართველობისათვის შექმნილ იქნას წყალთა ტრანსპორტის საერთოკავშირო სახალხო კომისარიატი.

3. წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს—გასცეს სახელმძღვანელო მითითებანი წყალთა ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის ორგანიზაციის შესახებ იმ ანგარიშით, რომ ახლად შექმნილი სახალხო კომისარიატი დაუყოვნებლივ შეუდგეს მუშაობას.

4. დაევალოთ გზათა სახალხო კომისარს და წყალთა ტრანსპორტის სახალხო კომისარს—გზათა სახალხო კომისარიატის მომქმედი დებულების შესაცვლელად სამი თვის ვადაში დაამუშავონ და საკანონმდებლო ორგანოებს დასამტკიცებლად შეიტანონ ამ სახალხო კომისარიატების დებულების პროექტები.

საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე კალინინი.
საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე მოლოტოვი (სკრიაბინი)
საბჭ. კავშ. ცაკის მდივანი ენუქიძე.
მოსკოვი — კრემლი
1931 წლის 30 იანვარი.

ამხ. იანსონი

საბჭოთა კავშირის წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარი

მოსკოვი, 31 იანვარი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა — დაინიშნოს ამხ. ნიკოლოზ მიხეილის ძე იანსონი საბჭოთა კავშირის წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისრად. (ადს).

დღეს, 1 თებერვალს.
გაზ. „კომუნისტი"-ს მთ. კანტორა
(რუსთაველის პროსპ № 34)
ღია იქნება ხელის მოწერის მისაღებად
დილის 9 საათიდან 4 საათამდე

ამხ. ვეზიროვი—ა.კ.ს.ფ.ს. რესპუბლიკის მიწადმოქმედების სახ. კომისარი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

ა-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მიწადმოქმედების სახალხო კომისრად ამხ. ჰაიდარ სადიხისძე ვეზიროვის დანიშვნის შესახებ.

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ჰაიდარ სადიხისძე ვეზიროვი ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მიწადმოქმედების სახალხო კომისრად.

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1931 წლის 29 იანვარი
ქ. თბილისი.

ამხ. ვეზიროვი

ამხ. სვანიძე—ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მომარაგების სახალხო კომისარი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

ა-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მომარაგების სახალხო კომისრად ამხ. ნიკოლოზ სიმონისძე სვანიძის დანიშვნის შესახებ.

ამიერ -კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. ნიკოლოზ სიმონისძე სვანიძე ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მომარაგების სახალხო კომისრად.

ამიერ- კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1931 წლის 29 იანვარი
ქ. თბილისი.



ამხ. სვანიძე

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება, ამიერ-კავკ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ

თანახმად საბჭოთა კავშირის ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 22 ნოემბრის დადგენილებისა საგარეო და საშინაო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ (1930 წლ. 23 ნოემბრის „იზვესტია“ № 322), ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს გამოეცვალოს სახელი და დაერქვას ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის მომარაგების სახალხო კომისარიატი.

2. ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსდეს საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის რწმუნებულის სამმართველო.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე— **ს. კასიანი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — **ა. შავერდოვი.**

1931 წლის 29 იანვარი.
ქ. თბილისი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის მიწადმოქმედების სახალხო კომისრის თანამდებობიდან ამხ. სიმონ პილატეს ძე ჯუღელის განთავისუფლების შესახებ

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

განთავისუფლებულ იქნას ამხ. სიმონ პილატეს ძე ჯუღელი, თანახმად მისი თხოვნისა, ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის მიწადმოქმედების სახალხო კომისრის თანამდებობიდან.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **ს. კასიანი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1931 წლის 29 იანვარი.
ქ. თბილისი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის ვაჭრობის სახალხო კომისრის თანამდებობიდან ამხ. აშოტ მიხეილის ძე საკიანის განთავისუფლების შესახებ

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

განთავისუფლებულ იქნეს ამხ. აშოთ მიხეილის ძე საკიანი, თანახმად მისი თხოვნისა, ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის ვაჭრობის სახალხო კომისრის თანამდებობისაგან.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე— **ს. კასიანი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი — **ა. შავერდოვი.**

1931 წლის 29 იანვარი
ქ. თბილისი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან ამხ. ვლადიმერ ივანეს ძე პარუშინის განთავისუფლების შესახებ

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

განთავისუფლებულ იქნას ამხ. ვლადიმერ ივანეს ძე პარუშინი, სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო, ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობისაგან.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი— **ს. კასიანი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე— **ა. შავერდოვი.**

1931 წლის 29 იანვარი.
ქ. თბილისი.

სასოფ.-სამეურნეო იარაღ-მანქანების აღრიცხვა და შეკეთება დაუყოვნებლივ უნდა დამთავრდეს

მთელ რიგ რაიონებს იარაღ-მანქანების აღრიცხვა დღემდე არ დაუწყიათ.—შემკეთებელი სახელოსნოები მომარაგებულნი არ არიან სათადარიგო ნაწილებით.—შირაქის საბჭოთა მეურნეობაში ყურადღება არ ექცევა ტრაქტორების შეკეთებას

სოფლებში იგზავნება 34 მუშათა შემკეთებელი ბრიგადა

დაკვრითი წესით ჩავატაროთ იარაღ-მანქანების აღრიცხვა-შეკეთება

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასოფლო სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთებას და მათს დროზე გამზადებას თესვის ჩატარებისათვის.

ჩვენ განვიცდით იარაღ-მანქანების ნაკლებობას; ასეთ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძველი და დაზიანებული იარაღების წესრიგში მოყვანას და გამოყენებას. უპირველესად ყოვლისა სასწრაფოდ უნდა დამთავრდეს მანქანების აღრიცხვა ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომელ რაიონში და სოფელში რამდენი ტრაქტორი, გუთანი, სათესი და სხვა იარაღ-მანქანები გვაქვს, რამდენია საჭირო, რამდენია დაზიანებული,—შესაკეთებელი და სხვ.

ირკვევა, რომ იარაღ-მანქანების აღრიცხვის საქმე უნუგეშო მდგომარეობაშია. არის რაიონები, სადაც აღრიცხვა სულაც არ დაწყებულა.

ამ მდგომარეობას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. იარაღ-მანქანების აღრიცხვა დაკვრითი წესით უნდა დამთავრდეს და მის შეკეთებას ახლავე უნდა შევუდგეთ.

სამიწადმოქმედო და კოოპერატიული ორგანიზაციები ახლავე უნდა შეუდგნენ **სათადარიგო ნაწილების** მომარაგებას. მიღებული უნდა იქნეს ზომები, რათა წარმოებებმა სავსებით და დროზე შეასრულონ ამ დარგში მიღებული დაკვეთები. „ზაკსელსნაბმა“ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს იმ სათადარიგო ნაწილების მიღების და განაწილების დასაჩქარებლად, რომელიც დაკვეთილია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქარხნებში.

წელს საქართველოში არსებულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს გადაეცემათ ახალი ტრაქტორები და სხვა იარაღ-მანქანები. გარდა ამისა მიმდინარე წელს საქართველოში **მოეწყობა 8 ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგური.** ის რაიონები, სადაც აღნიშნული სადგურები ეწყობა ახლავე უნდა შეუდგნენ სადგურის დაარსებისათვის წინასწარ მუშაობის ჩატარებას, რომელიც უზრუნველჰყოფს სადგურის გაუჭიანურებლად მოწყობას და მის შეუფერხებელ მუშაობას.

იარაღ-მანქანების შეკეთების ჩატარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი **სარემონტო სახელოსნოების** გაფართოვებას, გაჯანსაღებას და მომზადებას ამ საქმისათვის; სარემონტო სახელოსნოები უზრუნველყოფილნი უნდა იქნან როგორც სათადარიგო ნაწილებით და მოწყობილობით,—ისე სპეციალისტებით და კვალიფიციური მუშა-კადრებით. უნდა მოეწყოს აგრეთვე მოძრავი შემკეთებელი სახელოსნოები დაშორებულ რაიონებისათვის დახმარების გასაწევად. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმ შემკეთებელი ბრიგადების რაციონალურად გამოყენებას, რომელსაც ადგილებზე გზავნიან წარმოებები, პროფკავშირები, საშეფო ორგანიზაციები და სხვა ორგანიზაციები.

არანაკლები მნიშვნელობისაა **საწვავი მასალის** მომარაგების საკითხი. **ნავთი, ბენზინი** და **ზეთი**—აი რა უნდა მიაწოდოს ადგილებს საკმარისად და თავის დროზე ცეკავშირმა და მისმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა. ამისათვის საჭიროა საჭირო ზომების **ახლავე** მიღება და საწვავი მასალის საკმარისი რაოდენობის **ახლავე** მიტანა ადგილებზე.

დასასრულ განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნას მიქცეული ახლად მისაწოდებელ **იარაღ-მანქანების სწორად განაწილებაზე.** წარსულ წლებში ამ მხრივ მრავალ შეცდომებს ქონდა ადგილი, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ იარაღ-მანქანებს არ ანაწილებდნენ რაიონის სპეციფიურობის გათვალისწინების მიხედვით. იარაღ-მანქანების სწორად განაწილება მეტად სერიოზული საქმეა და ეს უნდა გატარდეს დიდი სიფრთხილით და წინდახედულობით.

იარაღ-მანქანების მთლიანად აღრიცხვა, მათი დროზე შეკეთება, შემკეთებელ სახელოსნოების გაფართოვება-დატვირთვა; სათადარიგო ნაწილების მომარაგება, საწვავი მასალის საკმაო რაოდენობით დროზე მიწოდება ადგილებისათვის, შემკეთებელ ბრიგადების რაციონალურად გამოყენება და ამ ამოცანის განხორციელებაში სოფლის ყველა სპეციალისტების მუშების, ღარიბ, საშუალო გლეხების და კოლმეურნეების ჩაბმა—აი რას უნდა მიექცეს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღება იარაღ-მანქანების აღრიცხვა-შეკეთების ჩატარებასთან დაკავშირებით.

გ—რი.

მანქანა-იარაღების რესპუბლიკანური აღრიცხვა ჯერ არ დაწყებულა

საკავშირო მიწსახკომის დირექტივის თანახმად საბჭოთა კავშირში ამჟამად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო მანქანების აღრიცხვა. აღრიცხვის მიზანია მანქანების რაოდენობის გამორკვევის გარდა, ხელი შეუწყოს მათ წესიერ გამოყენებას და ექსპლოატაციას. აგრეთვე აღრიცხვა ითვალისწინებს იმის გამორკვევას, თუ სად რამდენი და რა მანქანაა ხმარებაში, რომელ ადგილისათვის კიდევ რამდენი იარაღის მიწოდებაა საჭირო და სხვ.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების აღრიცხვა უნდა ჩატარებულიყო 1 იანვრიდან.

მიწად-მოქმედების კომისარიატმა აღრიცხვის ჩატარება სცნო „ზაკსელხოსნაბი“-ს ვალდებულებად, მაგრამ ამ უკანასკნელს ჯერ აღრიცხვის ჩასატარებლად არაფერი გაუკეთებია იმ მოსაზრებით, რომ აღრიცხვის ჩატარება შედის არა მის, არამედ საქართველოს მიწსახკომის ფუნქციებში.

—დღემდე არაა გამორკვეული თუ ეს მეტად მნიშვნელოვანი აღრიცხვა ვინ უნდა ჩაატაროს.

აგრეთვე არაა გამორკვეული აღრიცხვა როდის დაიწყება.

საჭიროა ეს უწყებრივი დავა საჩქაროდ დასრულდეს და აღრიცხვა დაიწყოს, თორემ შემდეგ გვიან იქნება.

დაუყოვნებლივ შევაკეთოთ ტრაქტორები

სატრაქტორო სადგურების ქსელის გაფართოებას და მათი მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მიუხედავათ ამისა ამ დარგში ჯერ კიდევ არაა ყველაფერი თავის რიგზე.

თესვის წინა კამპანიებში ჩვენ ვიცით იმის მრავალი მაგალითი, როცა ტრაქტორების ექსპლოატაციას ჰქონდა მტაცებლური ხასიათი. იმავე დროს კი ზოგ ალაგას მრავალი ტრაქტორი არ იყო სათანადოთ დატვირთული. ისინი, რომელთა განკარგულებაშიაც იმყოფებოდა ტრაქტორები, თავიანთ მიწების მოხვნის შემდეგ, ტრაქტორებს არ ახმარებდენ მეზობელ მეურნეობებს.

ადგილი ჰქონდა საწვავი მასალის მოუმარაგებლობაში დაუდევრობასაც. ყველა ეს დეფექტები ეხლავე უნდა იქნას გათვალისწინებული და ტრაქტორები დროზე უნდა მოვიყვანოთ წესრიგში. მაგრამ სამწუხაროდ ამჟამად ამ გარემოებას ნაკლები ყურადღება ექცევა. მაგალითად შემჩნეულია ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების დიდი ნაკლულოვანება, რომლის საჭირო რაოდენობით ცენტრიდან მიღება შეუძლებელია. ტრაქტორებია და სხვა მანქანების სათადარიგო ნაწილის დამზადებას შეუდგენ თბილისის ქარხნებში, მაგრამ დაგვიანებით.

საცაა მოხვნა დაიწყება და ცხადია ასეთ მოკლე დროში თბილისის ქარხნები ვერ შესძლებენ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რამაც შეიძლება შექმნას მეტად მძიმე მდგომარეობა.

საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება ტრაქტორების სრულ წესრიგში მოსაყვანად და მათი ხვნაში დაუბრკოლებლად გამოსაყენებლად.

აგრეთვე ეხლავე უნდა იქნას მიღებული ზომები ტრაქტორების საწვავი მასალის საკმაო რაოდენობით მოსამარაგებლად. ამასთანავე აუცილებლად სათანადოთ უნდა იქნას დაყენებული ტრაქტორების ექსპლოატაციის საქმე.

—ძე.

დირექტივა „საქმეში ჩააკერეს“

(გარე-კახეთი)

გარე-კახეთში თავის დროზე დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა გაზაფხულის სას.-სამ. კამპანიისათვის. შედგენილი იქნა კამპანიის ჩასატარებლად სარაიონო გეგმა, რაც 15 იანვრამდე დაყვანილი იქნა ყოველ კოლექტიურ მეურნეობამდე. ამ ჟამად მიმდინარეობს მუშაობა გეგმის ყოველ ერთპიროვნულ მეურნეობამდე დასაყვანად.

მიუხედავათ იმისა, რომ კამპანიისათვის მოსამზადებელი მუშაობა დაწყებულია, დღევანდლამდე ვერ მოწესრიგდა. სამუშაოთა აღრიცხვის საქმე, უმთავრესად-კი ეს ითქმის მანქანა-იარაღების აღრიცხვის შესახებ.

იანვრის პირველ რიცხვებში გაცემულ იქნა განკარგულება რაი-აღმასკომის მიერ ყველა სასოფლო საბჭოებზე, რომ 15 იანვრამდე ჩატარებულიყო შესაკეთებელ იარაღ-მანქანების აღრიცხვა, რის შესახებაც ცნობა უნდა გადმოეგზავნილიყო აღმასკომის სამიწათმოქმედო განყოფილებაში სასწრაფოდ. 15 იანვარი გავიდა, მაგრამ არც ერთმა სასოფლო-საბჭომ (გარდა სოფელ საგარეჯოსი) არ წარმოადგინა ცნობები შესაკეთებელი მანქანების შესახებ დანიშნულ დროზე. მართალია საგარეჯოს საბჭომ წარმოადგინა აღრიცხვის ცნობა, მაგრამ ეს ცნობები ისევ უკანვე დააბრუნა მიწადმოქმედების განყოფილებამ, რადგანაც უთავბოლოდ და გაუგებრად იყო შედგენილი. მიწადმოქმედების განყოფილების მიერ გაიცა მეორედ განკარგულება მანქანების სასწრაფოდ აღრიცხვის შესახებ, მაგრამ... ზოგან ეს განკარგულება „საქმეში“ ჩააკერეს და აღრიცხვა არ დაუწყიათ. გომბორისა და [illegible] საბჭოებს ცნობები მანქანების აღრიცხვის შესახებ 27 იანვრისათვის კიდევ არა ჰქონდათ წარმოდგენილი. აი რა განაცხადა სოფ. მალხაზოვკის სასოფლო-საბჭოს თავმჯდომარე კალანდარიშვილმა ცნობების წარმოდგენის შესახებ: „მანქანები აღვრიცხეთ და შეკეთებაც დავიწყოთ, მაგრამ ცნობების წარმოსადგენათ ჩვენ არ გვცალიანო“.

წინასწარი ცნობების მიხედვით 30 იანვრისათვის რაიონში შესაკეთებელი იყო 261 გუთანი, 4 ფარცხი, 1 სათესი, 3 ტრიერი, 6 ტრაქტორი, 3 სათიბი და 3 თვითმკვრელი მანქანა. უკვე შეკეთებული იქნა 2 ტრაქტორი 1 ტრიერი და 48 გუთანი. თბილისიდან ჯერ-ჯერობით ჩამოსულია მხოლოდ 1 სარემონტო ბრიგადა, რომელიც შეუდგა მუშაობას. საჭიროა სარემონტო ბრიგადების გამოგზავნა დაჩქარდეს. კოლმეურნეობანი განიცდიან იარაღ-მაქ. დიდ ნაკლებობას. მესაქონლეთა რაი-კავშირის მიერ გამოწერილ მანქანების გადმოგზავნა გვიანდება.

ა. გ—ლი.

მეტი ყურადღება შემკეთებელ სახელოსნოებს

(შირაქის რაიონი).

შირაქის საბჭოთა მეურნეობამ გაზაფხულის კულტურებისათვის ანეულის ხვნის გეგმა შეასრულა 25 დეკემბერს.

მეურნეობის ადმინისტრაციამ გაზაფხულის სას.-სამეურნეო კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარების უზრუნველსაყოფად ანეულის ხვნის დამთავრებიდან 5 დღის განმავლობაში დაუყოვნებლივ ჩაატარა გაზაფხულის კამპანიისათვის ყველა საჭირო მანქანა-იარაღების აღრიცხვა და მიზიდა ისინი შემკეთებელ სახელოსნოში.

გეგმის მიხედვით გაზაფხულის სამ. კამპანიისათვის უნდა შეკეთდეს 16 ტრაქტორი, აქედან 11 ცალი „ინტერნაციონალი“, 4 ცალი „ფორდზონი“ და 1 ცალი ხოლტი. სათესი მანქანა 13. ფარცხი ზიგზაგი 100 ცალი, თეფშებიანი ფარცხი 15 ცალი. ტრაქტორის გუთანი 13 ცალი. 20 იანვრამდე უკვე შეკეთებული იქნა: ტრაქტორი 5 ცალი, გუთანი 4 ცალი, ფარცხი ზიგზაგი 75 ცალი და თეფშებიანი ფარცხი—15 ცალი.

უნდა აღინიშნოს, რომ შირაქის საბჭოთა მეურნეობის შემკეთებელ სახელოსნოს ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის მრავალი მიზეზები: სათანადო კოოპერატიულ და სამეურნეო ორგანოები მეურნეობის შემკეთებელ სახელოსნოს დროზე ვერ ამარაგებენ საჭირო ნაწილებით და მასალით (რკინა, კალა და სხვა). ტრაქტორების ნაწილების შესაძენად რამოდენიმე თვეობითაც უხდება სახელოსნოს გამგეს თბილისში ყოფნა, მაგრამ მაინც ეს მდგომარეობას ვერ შველის და განსაკუთრებით ტრაქტორების სასწრაფო შეკეთება ფერხდება; მაგალითად მეურნეობის ერთი „ინტერნაციონალი“-ს სისტემის ტრაქტორი 1930 წლის მაისის რიცხვებიდან უქმად სდგას, რადგანაც სათანადო ორგანოებმა ვერ მიაწოდეს მას საჭირო ნაწილები.

გარდა ამისა ერთი „ხოლტის“ სისტემის ტრაქტორი შეუკეთებლობის გამო მთელი შემოდგომის თესვის პერიოდში მოცდა.

ეს მდგომარეობა პირველ რიგში მოითხოვს საბჭოთა მეურნეობების, ტრესტის და „ზაკსელხოზსნაბი“-ს სათანადო ყურადღებას.

გარდა ამისა სახელოსნოს არა აქვს სათანადოდ მოწყობილი სადურგლო ცეხი, რაც აუცილებელია იარაღ-მანქანების შეკეთებისათვის.

გაზაფხულის სას.-სამ. კამპანიის ბოლშევიკური ტემპით ჩატარება მოითხოვს შირაქის საბჭოთა მეურნეობის შემკეთებელი სახელოსნოს მომარაგებას მანქანა-იარაღების ნაწილებით, სადურგლო ცეხის უკეთ მოწყობის, მჭედლებია და განსაკუთრებით ზეინკლების კადრის გაძლიერების და სოცშეჯიბრების და დამკვრელობის უფრო მაღალ დონემდე აყვანას.

მოხევი.

დავაარსოთ შემკეთებელი კოლონა

(სენაკის რაიონი)

სენაკის რაიონს სატრაქტორო სადგური არა აქვს. გასულ წელს სატრაქტორო კოლონა მუშაობდა; წელს კოლონაც არ არსებობს, მაგრამ არიან ორგანიზაციები და კოლმეურნეობები, რომელთაც აქვთ ათიოდე ტრაქტორი. ჩვენს რაიონში გამწევი ძალის ნაკლებობაა, ამიტომ ეს ტრაქტორები უდიდესი დატვირთვით უნდა გამოვიყენოთ.

ამისათვის ეხლავე უნდა შეუდგენ საწარმოებები და დაწესებულებები ტრაქტორების წესრიგში მოყვანას, შეკეთებას და ხვნისათვის მომზადებას.

უკეთესი იქნება რაიონმა შეადგინოს ამ ტრაქტორებისაგან ერთი კოლონა, რომ უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ არსებული ტრაქტორები.

თესვის ჩამტარებელ სარაიონო დამთეს შტაბმა ეხლავე უნდა გადასდგას ნაბიჯები ამ მიმართულებით. ამით ჩვენ საგაზ. თესვის კამპანიას უზრუნველვყოფთ გამწევი ძალით.

გ. უჩანეიშვილი.

ახალი სატრაქტორო სადგურები

გადაწყვეტილია, წელს გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის საქართველოში დამატებით **მოეწყოს 3 სატრაქტორო სადგური.**

სატრაქტორო სადგურები გაიხსნება **ყარაიაში, ზუგდიდში** და **ლანჩხუთში.** ახალ სატრაქტორო სადგურებისათვის გამოწერილია 180 ტრაქტორი, აქედან 80 ტრაქტორი გადაეცემა ყარაიას სადგურს, 50 ზუგდიდისას და 50 ლანჩხუთის სადგურს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადაწყვეტილების რეალიზაცია ნელი ტემპით სწარმოებს. ჯერ ერთი აღნიშნულ სადგურებისათვის ტრაქტორების სრული რაოდენობით მიწოდება შეფერხებულია, გარდა ამისა თვით სადგურების მშენებლობა არ სწარმოებს საჭირო ტემპით.

ამ გარემოებას კი შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ მოხვნას სადგურები ვერ შეხვდებიან მომზადებულად.

ახალ სატრაქტორო სადგურებისათვის საჭირო ტრაქტორების გარდა საბჭოთა მეურნეობებისათვის გამოწერილია 40 ტრაქტორი.

გამოწერილ ტრაქტორებიდან უკვე მიღებულია ნაწილი, მაგრამ მათ განაწილებას და ადგილებზე დაგზავნას დღემდე არაფერი ეშველა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

არა თუ ტრაქტორი, არამედ უბრალო იარაღიც კი ცენტრიდან დროზე დაუბრკოლებლად უნდა დაეგზავნოს ადგილებს, რომ პირველ საჭიროებისათანავე ისინი გამოყენებული იქნენ სამუშაოდ.

მიწის დამუშავება კოლმეურნეობაში

იარაღ-მანქანების შემკეთებული ბრიგადები ეხმარებიან სოფელს

საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის ერთი მთავარი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების დროზე წესრიგში მოყვანას და შეკეთებას. გასულ თესვის კამპანიებში ამ მხრივ ადგილი ჰქონდა თვალსაჩინო დეფექტებს. წელს ამ დეფექტების თავიდან ასაცილებლად პროფსაბჭომ და საშეფო საზოგადოებამ უკვე შეადგინეს მანქანა-იარაღების შემკეთებელი ბრიგადები.

ბრიგადების შედგენა დამთავრდა 20 იანვრისათვის. სულ გამოყოფილი იქნა 34 ბრიგადა. თვითეულ ბრიგადაში შედის 3—4 კაცი—მჭედელი, ზეინკალი, დურგალი და სხვ. 20 იანვარს გაიხსნა აღნიშნულ ბრიგადების მოსამზადებელი კურსები, რომელზედაც ბრიგადების წევრებს გააცნეს გაზაფხულის თესვის ამოცანები.

ბრიგადის წევრებმა იარაღების შეკეთებასთან ერთად უნდა აწარმოონ აქტიური მუშაობა სათესლე მასალის შესაწამლავათ, სათესლე ფონდის შესაგროვებლად, მწკრივად თესვისათვის, მიწის გასანოყიერებლად, მავნებლებთან ბრძოლა, მესაქონლეობის გასაძლიერებლად და სხვა აგროღონისძიებების გასატარებლად.

იმავე დროს ბრიგადებმა დროზე უნდა ამხილონ თესვის კამპანიაში შემჩნეული დეფექტები და ტემპების შენელების მიზეზების აღმოსაფხვრელად მიიღონ შესაფერი ზომები.

ამრიგად შემკეთებელი ბრიგადები იმავე დროს უნდა იყვნენ საუკეთესო მთესველებიც.

კურსებზე მეცადინეობა დამთავრდა 25 იანვარს და ბრიგადები 26 — 28 იანვარს დაიგზავნენ რაიონებში სამუშაოდ. ბრიგადები გაიგზავნენ: ახბულაღ-მანგლისის რაიონში—2 ბრიგადა, ბაშკიჩეთში—1, ბორჩალოში—1, გარე-კახეთში—1, დუშეთში — 2, ერწო-თიანეთში—1, ლიუქსემბურგში—1, მცხეთის რაიონში—1, წალკაში—1, თბილისის ქალაქის საბჭოში შემავალ სოფლებში—2, ყარაიაზში—1, კასპში—1, გურჯაანში—1, თელავში—1, ლაგოდეხში—1, სიღნაღში—2, ყვარელში—1, წალენჯიხაში—1, ხობში—1, ჩოხატაურში—1, ახალციხეში—2, მარტყოფში—1, სენაკში—1, ბაღდათში—1, ახალქალაქში—1 და სამხრეთ-ოსეთში—2.

ასეთივე ბრიგადები სოფლად გაიგზავნება ქუთაისიდან—5, სამტრედიიდან—3, ჭიათურიდან—3, სტალინისიდან—2, ფოთიდან—4, ზესტაფონიდან—1, გორიდან—1, ბათომიდან—5, აფხაზეთიდან—5 და ოზურგეთიდან—1.

ბრიგადების ნაყოფიერი მუშაობა დიდათაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დახმარებას გაუწევენ მათ ადგილობრივი ორგანიზაციები და კერძოდ სასოფლო-საბჭოები. ამიტომ საჭიროა ბრიგადების ადგილებზე შესაფერი ყურადღებით მოეპყრან და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მათ მუშაობას.

ბრიგადები რაიონებში დარჩებიან 2 თვეს.

გადაწყვეტილებათა ფაქტიური შესრულების შემოწმება მუშაობის ღერძია

> „ადამიანების შემოწმება და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება—ამაში, კიდევ ამაში, მხოლოდ ამაშია ახლა მთელი მუშაობის ღერძი“ (ლენინი).

> „ცენტრალურმა საკონტროლო კომისია—მუშგლეხინმა, როგორც ეს გათვალისწინებული არის მუშგლეხინის მუშაობის გეგმით, შესრულების შემოწმება უნდა გახადოს სულ უფრო მეტად თავისი მუშაობის ცენტრად, რომ ამნაირად მიღწეული იქნას პარტიის დირექტივების და მთავრობის დადგენილებების არა მარტო სწრაფი და ზუსტი შესრულება, დირექტივების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზების აღკვეთა, არამედ პრაქტიკული გამოცდილების ნიადაგზე თვით დირექტივების სისწორის შემოწმებაც“ (ს. კ. პ. (ბ) მეთექვსმეტე კონფერენციის რეზოლიუციიდან).

> „იწერება რეზოლიუციები, იგზავნება დირექტივები, მაგრამ არავის არ სურს იზრუნოს იმაზე, რომ თავს შეეკითხოს: როგორღა არის დაყენებული ამ რეზოლიუციებისა და დირექტივების შესრულების საქმე, მართლა ასრულებენ მათ, თუ მაუდის ქვეშ აწყობენ“ (სტალინი).

ლენინი ამბობდა: ჩვენ გვაქვს მუშური სახელმწიფო ბიუროკრატიული გადამახინჯებით. ეს იმას ნიშნავს, რომ პროლეტარიატმა, დაამხო რა ბურჟუაზიის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება, გასტეხა მისი სახელმწიფო მანქანაც და შექმნა თავისი, მაგრამ თვით ისიც, რომელიც მის ხელშია დღეს, შესდგება საგრძნობ ნაწილში, ძველი, ბიუროკრატიული „მასალისაგან“, რომლის მუშაობა ხასიათდება ძველი, ბიუროკრატიული წესებით, გადამახინჯებებით. რასაკვირველია, უხეშ ცილისწამებას წარმოადგენს ამ აპარატისადმი მემარჯვენე-„მემარცხენე“ ბლოკის დებულება იმის შესახებ, თითქოს სახელმწიფო აპარატი ხასიათდება „დიდკაცურ ფეოდალური დამოკიდებულებით“ მუშებისა და გლეხების ყოველდღიურ საჭიროებებისადმი. ჩვენი აპარატი პროლეტარიატის დიქტატურის აპარატია. იგი განუწყვეტლივ ძლიერდება და უმჯობესდება. მაგრამ ამ აპარატის მართლაც დიდკაცურ - ფეოდალური დახასიათება და ცილისწამება მის მიმართ „მემარცხენე“ ლომინაძის ეხრით, აგრეთვე აპარატისაგან ამ ცილისწამების მოხსნის საჭიროება არ შეგვიშლის ჩვენ ხელს ვილაპარაკოთ იმ გადამახინჯებებზე, რომლებზეც სწერდა ლენინი, და ვიბრძოლოთ ჩვენი სახელმწიფო აპარატის განთავისუფლებისათვის ამ ნაკლოვანებათაგან.

ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც დასახული აქვს პარტიას: მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, უახლოეს ისტორიულ პერიოდში განვითარებულ ქვეყნებს ტეხნიკურ- -ეკონომიურად დაწევა და მათი გადასწრება, მთელ ფრონტზე კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეტევა და აღებული ტემპების ურყევად გატარება ცხოვრებაში მოითხოვს სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებას, მის გაწმენდას მახინჯი ელემენტებისაგან, მოითხოვს ამ აპარატის მოქნილობას და მუშაობის ისე აწყობას, რომ მისი საშუალებით წარმატებით გავატაროთ ხსენებული უდიდესი ამოცანები. სოციალისტური რეკონსტრუქციის ახალ ამოცანებთან შეფარდებით ჩვენ სახელმწიფო აპარატი უნდა გარდავქმნათ ისე, რომ იგი გამოვიყენოთ კაპიტალიზმის დარჩენილი კლასების წინააღმდეგ მედგარი ბრძოლისათვის, გამოვიყენოთ პროლეტარიატის ბასრ კლასიურ იარაღად ნეპმანების და კულაკების წინააღმდეგ, კოლექტივიზაციის მტკიცე გამტარებლად, მშრომელთა უფართოესი მასების ინტერესთა თავის დროზე დასაკმაყოფილებლად, ამ მასების შეკავშირებისა და მათი აქტივობის ხელმძღვანელად.

ამ გზაზე, ე. ი. სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და გადახალისების გზაზე ჩვენ გვაქვს ბევრნაირი დაბრკოლება. კაპიტალისტურ ელემენტებზე ჩვენი საერთო შეტევისა და კლასიური ბრძოლის გამწვავების გამო, ეს სიძნელენი ერთიორად იჩენენ თავს. კაპიტალისტური ელემენტები—ნეპმანი, კულაკობა და ის ინტელიგენცია, რომელიც გამოხატავს წარსული წყობილების ნაშთების ინტერესებს, ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ესა თუ ის აპარატი, მოაქციონ ის ან მისი მუშაკები თავიანთ გავლენის ქვეშ. ამა თუ იმ დაწესებულების და უფრო კი მისი მუშაკების კაპიტალისტურ ელემენტებთან შეზრდის ფაქტები აქა-იქ მოიპოვებიან. საბჭოთა დაწესებულებების პერსონალის ნაწილობრივ ძველი შემადგენლობა, მისი აპარატის ნაწილის, მისი ხელმძღვანელობის თუ რიგის მუშაკების მოქცევა ჩვენი კლასიური მტრის გავლენის ქვეშ, [illegible] უსპობს ამ აპარატს შეიქნას პროლეტარიატის დიქტატურის ნამდვილ იარაღად, დიქტატურის გეგმების გამტარებლად, რეკონსტრუქტიული პერიოდის და მისი ამოცანებისათვის შესაფერის სახელმწიფო ორგანიზაციად. ამიტომ ხდება ისიც, რომ ის გვევლინება ჩვენ ხშირად როგორც **ცუდი შემსრულებელი** იმ გადაწყვეტილებებისა, რომელთა გატარებას მას ავალებს პარტიის და ხელისუფლების ზემდგომი ორგანოები. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ის გვევლინება არა მარტო ცუდ შემსრულებლად ამ გადაწყვეტილებებისა; ის ხშირად სრულიადაც არ ასრულებს მათ, არ ატარებს ცხოვრებაში გარკვეულ დირექტივებს. ხოლო რა მნიშვნელობა აქვს პარტიისა და ხელისუფლების თუ გინდ ძალიან ბევრ და შესანიშნავ დადგენილებებს, თუ ისინი დარჩებიან მხოლოდ ქაღალდზე და არ იქნებიან გატარებული ცხოვრებაში. ამიტომ კარგად აწყობილი, კარგად მომუშავე ორგანოს ფუნქცია არის არა მარტო კარგი დადგენილებების გამოტანა, კარგი დირექტივების შედგენა, არამედ თვალყურის დევნება იმაზეც, თუ ვინ და როგორ გაატარა ის, ან და გაატარა თუ არა ვინმემ ის საზოგადოდ. პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელი და საერთოდ ზემდგომი ორგანოების ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილებების გაუტარებლობის მჟღავნი ფაქტების, პირდაპირ აღმაშფოთებელი ფაქტების გამო, ამ გადაწყვეტილებათა შესრულების, ნამდვილად, ფაქტიურად შესრულების შემოწმებას ენიჭება ფრიად დიდი. შეიძლება ითქვას, პირდაპირ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენი შემდგომი წინსვლისათვის.

როგორია დღეს მდგომარეობა ამ მხრივ?

მიმდინარე მშენებლობასთან, მიმდინარე კამპანიებთან დაკავშირებით პარტიულ თუ საბჭოთა ორგანოს, ამა თუ იმ საკითხის შესწავლის შემდეგ, გამოაქვს შესაფერისი დადგენილება. ეს დადგენილება დეკრეტის, რეზოლიუციის თუ სხვა რომელიმე სახით შეეხება ან მთელ სისტემას პარტიული, საბჭოთა და სხვ. ორგანიზაციებისას, შეეხება დაბოლოს ყველა მოქალაქეთ ან და რომელიმე ცალკე ორგანიზაციას ან ორგანოს. საკითხის კონკრეტიზაციისა და გამარტივებისათვის წარმოვიდგინოთ, რომ დადგენილებას მხედველობაში ჰყავს გარკვეული ერთეული ორგანიზაციები. როგორც ვსთქვით, საკითხის საკმაოდ დეტალურ და ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, სავალდებულო ყველა იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც იქ მუშაობენ. გადაწყვეტილება გამოქვეყნდა ან გადაეცა უშუალოდ დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდენ საკითხის განხილვასა და დადგენილების შემუშავებაში. გადაეცა, რასაკვირველია, არა „მაუდის ქვეშ ამოსადებად“ (სტალინი), არამედ ყველა დაინტერესებულ ადგილობრივ ორგანიზაციებში, უჯრედებში დასამუშავებლად და ცხოვრებაში გასატარებლად. გადის ხანი: ერთი თვე, ორი თვე, სამი, ოთხი, ექვსი, ხშირად მეტიც. არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება იმის შესახებ, თუ როგორ ატარებენ ან საზოგადოთ თუ ატარებენ ამ გადაწყვეტილებებს სათანადო ორგანიზაციები ან ორგანოები. შეიძლება ამ საკითხით ჩვენ კიდევ რამოდენიმე თვის განმავლობაში არ დავინტერესებულიყავით, მაგრამ ერთმა მჟღავნმა გარემოებამ, აღმაშფოთებელმა ფაქტმა, გადაწყვეტილების შეუსრულებლობამ ერთ რომელიმე ნაწილში და ამის გამო შექმნილმა გარემოებამ მიიქცია ჩვენი ყურადღება. ჩვენც ვიღებთ ზომებს იმის გამოსარკვევად, მართალია თუ არა მომხდარი ამბავი: მაგალითად, ვთქვათ, მაღაროების ჩამორჩენა თითქმის ყველა მაჩვენებლების მხრივ ან უბედური შემთხვევა სამუშაოებზე, ან სხვა რამე ასეთი. ამ მიზნით ადგილზე იგზავნება კომისია. რამოდენიმე ხნის მუშაობის შემდეგ კომისია, რასაკვირველია, ისევ დაინტერესებული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით, კვლავ გვიკეთებს მოხსენებას რომელიმე ხელმძღვანელ ორგანოში.

ირკვევა წინანდელი დადგენილების შეუსრულებლობის სრული სურათი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ გამოგვაქვს ახალი გადაწყვეტილება ისევ დეტალური (და ამიტომ შეიძლება ხშირად გრძელი) და საქმიანი, რომელიც ზედმიწევნით იძლევა შექმნილი მდგომარეობის სურათს და გზებს ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად. ამნაირად დადგენილება გამოტანილია და გადაცემული შესასრულებლად. ამ მომენტიდან, გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან, ე. ი. როდესაც ის მიღებულ იქნა დაინტერესებული ადმინისტრაციისა და ორგანოების მიერ, ჩვენ გადავედით სხვა მორიგ საქმეებზე და ისევ გავუშვით მხედველობიდან ის ორგანიზაციები, რომლებსაც მივეცით გარკვეული ვალდებულებანი. გადის ისევ რამოდენიმე ხანი. დროგამოშვებით გაზეთში წავაწყდებით კანტიკუნტად ფაქტებს ადგილობრივი ორგანიზაციის მუშაობიდან, მაგრამ არა გაღრმავებით დამუშავებულ და გაშუქებულ ფაქტებს, არამედ რამოდენიმედ ზერელედ აღებულს, რომელიც შეიძლება ვარგა როგორც „სიგნალი“, მაგრამ რომელიც დიდ ღირებულებას, საქმის ნამდვილი ვითარების დახასიათების მხრივ, არ წარმოადგენს. მაგრამ აი რამოდენიმე თვის (6, 7, 8 თვე) შემდეგ მოხდა მთელი რიგი აღმაშფოთებელი ფაქტები, უკეთესად რომ ვსთქვათ, მოულოდნელად გამოირკვა ეს ფაქტები, რომლებიც **უკვე ერთი ხანია,** რაც მომხდარან. ადგილზე იგზავნება ისევ კომისია. ამნაირად—ისევ საქმის შესწავლა, ისევ მოხსენება, რომელიმე ხელმძღვანელ ორგანოში, ადგილობრივი ამხანაგების დასწრებით, ისევ საკმაოდ ვრცელი, შინაარსიანი, საქმიანი დადგენილება დაინტერესებულებისათვის გადაცემული შესასრულებლად, ისევ ფაქტი ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ დადგენილების შეუსრულებლობის. კიდევ კომისია, კიდევ მდგომარეობის შესწავლა, კიდევ ახალი დადგენილება და, რაც უმთავრესია, კიდევ **ძველი წესით** მუშაობა უკონტროლოდ და იმის **შეუმოწმებლად,** თუ **როგორ ტარდება** ან თუ **საზოგადოდ ტარდება** დადგენილება, რომელიც დაინტერესებულ ორგანიზაციებს გადაეცა შესასრულებლად. ასე დაწვრილებით შეჩერება ამაზე საჭირო შეიქნა კონკრეტიზაციის მიზნით, მაგრამ იმიტომაც; რომ ჰქონდა ადგილი დაახლოებით ისეთ ფაქტებს ტყიბულის ორგანიზაციების მუშაობიდან, რომლებზეც შევაჩერე მკითხველის ყურადღება. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ ეს ერთი მაგალითი განმარტოებულად წარმოგვედგინა და გვეფიქრა, რომ მსგავს რამეს ადგილი არ ჰქონდეს სხვაგან, რომ ასეთი ამბები იყვნენ მხოლოდ გამონაკლისი. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ ერთი მაგალითი, მაგრამ შეიძლება სხვა მსგავსი შემთხვევების აღნუსხვა, თუ ეს საჭირო იქნება იმ უდავო დებულების დასადასტურებლად, რომ **გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საქმე ყველაზე ცუდ, ყოვლად დაუშვებელ მდგომარეობაშია ჩვენში.** შეიძლება ითქვას: ის, როგორც საჭიროა, თითქმის არ არსებობს, ხოლო იმ გამონაკლის შემთხვევებშიც, სადაც კი მას აქვს ადგილი, ეს ხდება ერთი რომელიმე შემთხვევიდან მეორე შემთხვევამდე, ხოლო როგორც ნორმალური, მუდმივი ფუნქცია ჩვენი მუშა-აპარატისა, ის თითქმის არ არსებობს და ამის გამოც, ამ მიზეზითაც, მისი პრაქტიკულად შეუფასებლობის გამოც, ორივე ფეხებით მოიკოჭლებს გადაწყვეტილებათა მასიური შემოწმების საქმეც. და ეს ცოტაოდენი მეტნაკლებობით ითქმის ყველა ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, როგორც საბჭოთა, ისე პროფკავშირული, კოოპერატიული და სხვ. ხაზით. ნუ ვიტყვით იმას, თითქოს ეს საკითხი შეეხებოდეს მხოლოდ ჩვენს მუშგლეხინს. იდეალურადაც რომ იყოს დაყენებული მისი მუშაობა, მარტო ის ვერ გასწვდება მთელს საქმეს, ვერ შეამოწმებს ჩვენი უამრავი სხვადასხვა აპარატების მიერ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საქმეს. ასეთი შემოწმება გულისხმობს ორ რამეს ყოველ შემთხვევაში: ერთია გარკვეული ვადა გადაწყვეტილების შესრულებისა, მეორე—იმის გამორკვევა, თუ ვინ არის ასეთ ვადაში პერსონალურად პასუხისმგებელი გადაწყვეტილების შესრულებისათვის. როგორ პასუხისმგებლობაზე, შესრულების როგორ შემოწმებაზე, ჩვენი საბჭოთა აპარატის როგორ მუშაობაზე შეიძლება სიტყვის ჩამოგდება ასეთი მაგალითის შემთხვევაში, რომელიც მოყვანილი იყო პარტიის მეთექვსმეტე კონფერენციაზე ამხ. იაკოვლევის მიერ. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მისი აქ განმეორება, რადგან ის ღირსია, რომ ერთხელ კიდევ აღვადგინოთ ამხანაგების მეხსიერებაში, რომ ერთხელ კიდევ იქნეს შეფასებული ის და მისი მსგავსი ფაქტები და ამნაირად გაადვილებული ბრძოლა მათ წინააღმდეგ. მოგვყავს ეს ამბავი თითქმის სიტყვა-სიტყვით, როგორც მის შესახებ მოუყვა კონფერენციას მომხსენებელი. საქმე შეეხება იმას, თუ როგორ ასრულებენ რესპუბლიკანური სახკომსაბჭოები საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებას.

საკავშირო სახკომსაბჭომ დაავალა მოკავშირე რესპუბლიკებს დაეარსებიათ ორი თვის ვადაში დესიატნიკების სკოლა სამშენებლო მუშაობისათვის. როგორ შეასრულეს მათ ეს დავალება? აქ საინტერესოა „საქმის გატარების“ წესი. რუსეთის ეკონომსაბჭომ მიიღო ეს დადგენილება და ერთი კვირა ინახავდა უყურადღებოდ, ერთი კვირის შემდეგ კი ის გაგზავნა განათლების კომისარიატში, აქაც მან დაჰყო რამოდენიმე დღე და შემდეგ გადაეგზავნა პროფგანათლების განყოფილებას. აქაც „შეისვენა“ გადაწყვეტილებამ და შემდეგ ის გადაეცა მუშათა განათლების განყოფილებას. ამ უკანასკნელმა გადასცა ის მის უშუალო შემსრულებელს, რომელმაც მოაგვარა ეს საქმე **რამოდენიმე დღის** განმავლობაში. მაგრამ გავყვეთ ქვევით და ვუთვალთვალოთ რა მოხდება შემდეგ. პროფგანათლების განყოფილებამ მიიღო უკან პროექტი და გადასწყვიტა მისი შეთანხმება მშენებელთა კავშირის ცეკასთან, რომელსაც გადაუგზავნა პროექტი 12 დღის შემდეგ მისი უკან მიღებისა, ხოლო ერთი თვის შემდეგ კი დამატებით გაგზავნა ამ საკითხის შესახებ მასალები. მშენებელთა ცეკამ აირჩია ორი კომისია. აქედან მეთოდიური კომისია ერთი თვის განმავლობაში ვერ შეიკრიბა, შემდეგ კი პროექტის შემოწმებას მოანდომა ერთი თვე კიდევ. შემდეგ მოხსენება გადაიგზავნა ეკონომსაბჭოში. ეკონომსაბჭოს აპარატი ჯერ ცდილობს პირადად დაკითხვის წესით გაათავოს საქმე, მაგრამ 23 დღის შემდეგ საკითხი გადააქვთ მცირე სახკომსაბჭოში. ეს უკანასკნელი ჰყოფს კომისიას. კომისია გამოუძახებს პროფგანათლების წარმომადგენელს, რომელიც არ ცხადდება, რის გამო საკითხი კიდევ უმოძრაოდ ძევს მთელი სამი კვირის განმავლობაში. მხოლოდ სამი კვირის შემდეგ მცირე სახკომსაბჭო იხილავს საკითხს, მაგრამ ირკვევა, რომ პროექტის ფინანსიური ნაწილი საკმაოდ არ არის დამუშავებული, რის გამოც მას გადასცემენ დამატებითი დამუშავებისათვის. ამის შემდეგ კომისია კიდევ მუშაობს და ბოლოს პროექტი გადადის სახკომსაბჭოში და ხუთ მარტს მტკიცდება მცირე სახკომსაბჭოს მიერ. ამნაირად რამოდენიმე დღეში გასაკეთებელი პროექტი 1929 წლის ივნისიდან „დადის“ ერთი კარებიდან მეორესთან და მარტში, ე. ი. რვა თვის შემდეგ ნაწამები ეღირსება თავის დამთავრებას და ეს მაშინ, როდესაც, როგორც უკვე ვსთქვით, მისი **შესრულება** შესაძლებელი ყოფილა რამოდენიმე დღის განმავლობაში.

ვთქვათ გულახდილად, რომ ამის მსგავსი ფაქტები გამონაკლისს არ შეადგენენ ჩვენი [illegible] თუ სხვა აპარატში. შეიძლება **რამოდენიმე დღეში** გასაკეთებელი საქმე ერთგან თავდებოდეს რვა ან მეტ თვეში, სხვაგან რვა ან მეტ კვირაში, მაგრამ საერთოდ ის ძალიან ძვირად კეთდება იმ დროში, რომელიც ნამდვილად ესაჭიროება მას და იმ ვადაში, რომელშიც უნდა იქნას ის შესრულებული. იმის თქმა ასეთ შემთხვევებში, რომ ყველა, ვისაც საქმე ჰქონდა ასეთ თუ მსგავს პროექტებთან, ბიუროკრატები არიან — ამის თქმა არ შეიძლება. მაგრამ რომ ხშირად მოიკოჭლებს წესი მუშაობისა — ეს ნათელია. ჩვენ სრულიადაც არ გვინდა მოვხსნათ პასუხისმგებლობა ასეთ გაჭიანურებისათვის მის შემსრულებლებს და მათ შორის ცხადია „საკამოზე“ მეტია ბიუროკრატი, მაგრამ აქ არ შეიძლება დავიწყებული იქნეს მუშაობის წესიც. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს აპარატის მუშაობის ხშირად მახინჯ წესთან, რადგან იქ არიან ძველი მოხელეები — სწორედ ამიტომ საჭიროა ჩვენი გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება და ამის მიხედვით თვით მუშაკების შესწავლა. აი სწორედ ეს შემოწმება მოიკოჭლებს, როგორც ზემოთ ვთქვით, თითქმის ყველგან თუ სულ ყველგან არა. და ეს მაშინ, როდესაც ამ შემოწმების უქონლობა ჩვენ ყოველ ნაბიჯზე გვაგრძნობიებს თავს და როდესაც ამის შესახებ ჩვენ გვაქვს დაწვრილებითი დირექტივები ამხ. ლენინის და ბოლოს გადაწყვეტილებანი საკავშირო კომპარტიის (ბ) უზენაესი ორგანოების.

ვ. ი. ლენინი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ამ საკითხს. 1917-23 წლამდე ის ხშირად უბრუნდება მას როგორც თავის საჭირო სიტყვიერ გამოსვლებში, ისე წერილებში. საკითხი გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების შესახებ პირდაპირ მოსვენებას არ აძლევს მას. თითქმის ყველა წერილში, რომელიც კი იწერება ბიუროკრატიზმისა ან სახელმწიფო აპარატის შესახებ, უეჭველად აქვს მას გაკვრით მაინც ნახსენები ამ საკითხის უდიდესი მნიშვნელობა.

„საბჭოთა დაწესებულებების მართვა-გამგეობის წესების პროექტში“, რომელიც მან 1918 წლის 12 დეკემბერს გაუგზავნა ამხანაგებს გასარჩევად და მათი აზრის გასაგებად [illegible] გამოთქმული დებულების შესახებ, ლენინი სწერდა როგორც გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის, ისე პირობების შესახებ, რომელთა დაცვა საჭიროა ამ შესრულების შემოწმებისათვის, ე.ი. ამა თუ იმ პირის პასუხისმგებლობის დაწესება ამა

საბჭოების სარაიონო ყრილობებმა

უდიდესი ყურადღებით უნდა განიხილონ საკავშირო სახკომსაბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილებები გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გატარების შესახებ და დასახონ პრაქტიკული ზომები ამ დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად

საბჭოების გადარჩევის შედეგები აჭარისტანში

უკანასკნელი საბჭოთა არჩევნები, როგორც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანია, აჭარისტანში ჩატარებულ იქნა იმ ლოზუნგით, რომ სოფლისა და ქალაქის ყველა მშრომელი ჩაბმულიყო არჩევნებში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარისტანში მომავალი მუშაობისათვის.

მოსამზადებელი და აგრეთვე საანგარიშო კამპანიას ახასიათებდა განსაკუთრებული ენტუზიაზმის გამოჩენა გლეხობის ღარიბი მასების მიერ. თუ წინანდელი არჩევნები აჭარისტანში ხდებოდა ნაკლები აქტივობის გამოჩენით, მიმდინარე წელს ამ კამპანიას ახასიათებს საღი კრიტიკა, რასაც იწვევდნენ კრებებზე გამოსული გლეხები და კოლმეურნეები.

გლეხებს განსაკუთრებით აინტერესებდათ საკითხები განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის, საკოლმეურნეო მშენებლობისა და მეცხოველეობის განვითარების შესახებ.

გლეხები, რომლებიც უდიდეს მნიშვნელობას აძლევდნენ სოფლის მეურნეობა რეკონსტრუქციას და აღნიშნავდნენ იმ უდიდეს მუშაობას, რაც ჩატარებულ იქნა ამ დარგში, ამავე დროს ხაზს უსვამდნენ მიწათმოქმედების ორგანოების მეტად სუსტ მუშაობას მიწათმოწყობის დარგში, ვინაიდან თუ არ იქნა ჩატარებული სათანადოდ მიწათმოწყობა, შეუძლებელი იქნება კოლექტიური მეურნეობების მოწყობა. გლეხები თხოულობდნენ—მომავალში საქმის ამ მხარეს მიექცეს მეტი ყურადღება და გაძლიერებულ იქნას მიწათმოწყობის სამუშაოთა დაჩქარებით დამთავრება.

მეცხოველეობის დარგის შესახებ გლეხები აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა მსხვილი რქოსანი საქონლის არსებული ჯიში შეიცვალოს უკეთესი ჯიშით.

განათლების საკითხთა შესახებ გამოსული ამომრჩევლები აშკარავებდნენ სასკოლო შენობათა მეტად უნუგეშო მდგომარეობას, ისინი აღუთქვამდნენ ხელისუფლებას აქტიური მონაწილეობის მიღებას სასკოლო მშენებლობაში და სთხოვდნენ რაიაღმასკომს და მთავრობას—განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასკოლო მშენებლობას, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელი იქნება ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო საყურადღებო დირექტივის შესრულება.

აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის შესახებაც გლეხები აღნიშნავდნენ საექიმო პუნქტების ნაკლებობას და იმას, რომ არსებული პუნქტებიც არ არის უზრუნველყოფილი სათანადო საექიმო პერსონალით.

გლეხები ილაშქრებდნენ აგრეთვე ქორწინების და სხვა მავნე ჩვეულების წინააღმდეგ. ყრილობაზე გამოსული გლეხები დიდ ხანს ჩერდებოდნენ ამ საკითხზე და მოჰყავდათ ფაქტები თუ ამგვარი ქორწინების და ძველი ტრადიციების გამო როგორ ნადგურდება ღარიბი გლეხობა და რა მავნე შედეგებს იწვევს ამ ჩვეულების არსებობა.

ერთი სიტყვით, გლეხებს აინტერესებს საკოლმეურნეო კულტურული, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საკითხები.

გადარჩევის ჩატარების დროს აშკარად გამოირკვა, რომ სასოფლო საბჭოებთან არსებული სექციები მეტად სუსტად მუშაობენ. სექციების მრავალ წევრს არც კი ესმის თავისი დანიშნულება, სექციების მუშაობას არ იწევს ხელმძღვანელობა, რის გამო, იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ სასოფლო საბჭოში მუშაობენ მხოლოდ თავმჯდომარე და მისი მდივანი.

საარჩევნო კრებებზე დამსწრეთა პროცენტი კარგი იყო. ქედის რაიონში დასწრებულთა რიცხვი უდრიდა 82 პროცენტს, ბათუმის რაიონში—80 პრო., ქობულეთის —83 პრ. და ხულოს რაიონში—86 პროცენტს. ეს პროცენტული განაწილება შეეხება ამომრჩეველ მამაკაცებს.

ქალები კი გამოცხადდნენ: ქედის რაიონში მხოლოდ 54, ბათუმის რაიონში—526, ქობულეთის რაიონში—1017, ხულოს რაიონში—46.

სასოფლო საბჭოს წევრთა რიცხვი ქედის რაიონში უდრის—258, ამათგან ქალი 18, ბათუმის რაიონში—507, ამათგან ქალი 36, ქობულეთის რაიონში—483, ქალი 38, ხულოს რაიონში—591, ქალი 12.

ამგვარად, ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში ამჟამად ჩაბმულია 1839 კაცი საბჭოს წევრი, ამათგან ქალი—104.

ქალების სუსტი მონაწილეობის საკითხი შემდგომ სხვაგვარად უნდა იქნას დასმული, სახელდობრ: უნდა გაძლიერდეს მათ შორის მუშაობა და ახალი არჩევნების დროს ჩაბმული იქნას კამპანიაში მშრომელი ქალების მთელი 100 პროცენტი, ვინაიდან წელს უკვე იყო იმის ნიშნები, რომ აჭარელ ქალებს აინტერესებთ საზოგადოებრივი საქმეები, მხოლოდ საჭიროა მუშაობის სისწორით წარმოება, რის შემდეგაც, თუ ეს მოვახერხეთ, მომავალ არჩევნებში ქალთა რიცხვი გაცილებით გაიზრდება წინანდელ არჩევნებთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ წარსულ არჩევნებში აქა-იქ კიდევ მოახერხეს საბჭოებში არასაიმედო და შეძლებულმა ელემენტებმა გაძვრენა, ამ არჩევნების შემდეგ საბჭოებში მოხვდნენ მხოლოდ მოსახლეობის საშუალო და ღარიბი ფენები. თუ წინად კულაკები თუნდაც მალულად, მაგრამ მაინც ახდენდნენ გავლენას არჩევნების მიმდინარეობაზე, ამჟამად მეტად ხშირი იყო იმის შემთხვევები, რომ ღარიბები გამოდიოდნენ კულაკების წინააღმდეგ და მოითხოვდნენ მათ გაძევებას, თუ ისინი გამოჩნდებოდნენ საარჩევნო კრებებზე.

განსაკუთრებით ყურადღებით არჩევდნენ გლეხები სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის საკითხს, ვინაიდან ისინი კარგად უწევენ ანგარიშს იმ მუშაობის სერიოზულობას, რაც მომავალში უნდა გააკეთონ სასოფლო საბჭოებმა.

ამგვარად, რაიონებში არჩევნები დამთავრდა, ჩატარებულ იქნა აგრეთვე რაიონული ყრილობები. 7 თებერვალს გლეხი დელეგატები შეიკრიბებიან ბათუმში რესპუბლიკურ ყრილობაზე, რომელიც ჩატარებულ უნდა იქნას გაშლილი სოციალისტური მშენებლობის პირობებში—როგორც სამეურნეო, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო დარგების სოციალისტური მშენებლობის პირობებში.

საბჭოების რესპუბლიკანური ყრილობის დღის წესრიგში მეტისმეტად სერიოზული საკითხებია დასმული. აჭარისტანის ცაკი სათანადო ყურადღებით ემზადება ამ ყრილობისათვის. ყრილობა არა მარტო მოისმენს საქართველოს მთავრობის, აჭარისტანის მთავრობის მოხსენებებს და მოხსენებებს სოფლის მეურნეობის საკითხთა შესახებ, არამედ დასახავს თავისი მთავრობის შემდგომი მუშაობის გზას სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა გადასაწყვეტად აჭარისტანში.

გარდა ამისა, ყრილობას ექნება **საიუბილეო ხასიათი**. ცაკი შეუდგა გამოფენის მოწყობისათვის მზადებას საბჭოთა აჭარისტანის მიღწევათა შესახებ 10 წლის განმავლობაში.

აკ. ქავთარაძე

საბჭოების რაიონული ყრილობები ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს

ტყიბული, 30 იანვარი. (საქ. კორ.) 29 იანვარს ტყიბულში გაიხსნა მეორე რაიონული საბჭოთა ყრილობა, რომელსაც ესწრება 99 დელეგატი.

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში მხურვალე ტაშის ცემით არჩეულ იქნენ: ამხ. ამხ. **სტალინი, ორჯონიკიძე, მოლოტოვი, ვოროშილოვი, ენუქიძე, ცხაკაია, ქართველიშვილი, ელიავა, მახარაძე, მამულია და სუხიშვილი.**

საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის და მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, ყრილობამ დაამტკიცა დღის წესრიგი შემდეგი სახით: საქ. მთავრობის ანგარიში, რაიაღმასკომის ანგარიში, საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხები და არჩევნები.

საქ. მთავრობის მუშაობის შესახებ ყრილობამ მოისმინა ამხ. **გ. კუჭაიძის** მოხსენება, რომელსაც დელეგატები მხურვალე ტაშის ცემით შეხვდნენ.

ლ. ჯავახაძე.

ლაგოდეხი, 30 იანვარი. (საქ. კორ.). 29 იანვარს გაიხსნა ლაგოდეხის სარაიონო საბჭოთა მეორე ყრილობა.

ყრილობამ საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩია შემდეგი ამხანაგები: **სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, ორჯონიკიძე, ანდრიევი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ტელმანი, კრუპსკაია, მიხა ცხაკაია, ფ. მახარაძე, ქართველიშვილი, ელიავა, მამულია და სუხიშვილი.**

საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ყრილობას მიესალმნენ მუშები, კოლმეურნენი, გლეხი - ქალები და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი. ყრილობას მიესალმა აგრეთვე **თურქის ქალი — ზეინაბ ალი - კიზი**, რომელმაც თავის სიტყვაში სთქვა: **„ჩვენი ხსნა მხოლოდ საკოლმეურნეო მოძრაობის გამარჯვების პროლეტარულ დიქტატურის პირობებშია“** და სხვ.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ა.-კ. (ბ) საოლქო კომიტეტს, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და ა.-კ. და საქ. ცაკებს.

მისასალმებელი სიტყვების შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. **გარსევანოვის** მოხსენება ხუთწლედის მესამე წლის და საგაზაფხულო თესვის ამოცანების შესახებ. ამხ. გარსევანოვის მოხსენების შემდეგ, ყრილობაზე რაიაღმასკომის საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. **გველუკაშვილი.**

დ. ლომთაძე.

:—:

გორი, 30 იანვარი (საქ. კორ.) 29 იანვარს გაიხსნა გორის სარაიონო საბჭოთა მეორე ყრილობა, რომელმაც **საპატიო პრეზიდიუმში** აირჩია საქ. კ. პ. (ბ) ცეკას პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა.

ყრილობას საქ. ცაკის სახელით მიესალმა ამხ. **არუთინოვი**; ყრილობას მიესალმნენ აგრეთვე მუშები, კოლმეურნენი და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთაც აღუთქვეს ყრილობას ხუთწლედის 4 წელიწადში შესრულებისათვის შეუნელებელი ბრძოლა.

კოლმეურნეებმა აღუთქვეს ყრილობას გაზაფხულის სას. - სამ. კამპანიის წარმატებით ჩატარება, მთლიან კოლექტივიზაციის განხორციელება და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის დაჩქარება.

ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1. რაიაღმასკომის ანგარიში, 2 გაზაფხულის სას. - სამ. კამპანიის და საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანები, და 3. არჩევნები. ყრილობა სპეციალურად განიხილავს **საკავშირო სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 21 იანვრის დადგენილებას კონტრაქტაციის გატარების შესახებ**, და გამოიმუშავებს კონკრეტულ ზომებს ამ დადგენილებათა სარეალიზაციოდ.

კ. მგელაძე.

გაიხსნა რაიონული ყრილობა

გურჯაანი, 31 იანვარი. 30 იანვარს გაიხსნა გურჯაანის რაიონის მეორე საბჭოთა ყრილობა.

შესავალი სიტყვით ყრილობა გახსნა რაიაღმასკომის თავმჯდომარემ — ამხ. გ. ჩიტალაძემ. ყრილობას ესწრება 280 დელეგატი.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1. რაიაღმასკომის საანგარიშო მოხსენება, 2. შემოდგომის სას. - სამ. კამპანიის შედეგები, საგაზაფხულო სას. სამ. კამპანია და საკოლმეურნეო მშენებლობის მორიგი ამოცანები, 3. არჩევნები.

ალაზან-ჰესის სამუშაოების 600 მუშის სახელით ყრილობას მიესალმა —ამხ. ზირაქაშვილი; მისალმებით გამოვიდნენ აგრეთვე კოლმეურნენი, გლეხი - ქალები და ორგანიზაციების წარმომადგენლები. ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულნი იქნენ: ამხ. ამხ. **სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, კლარა ცეტკინა, კოსიორი, კრუპსკაია, ქართველიშვილი, ორახელაშვილი მამია, იაკოვლევი, კიროვი, მახარაძე, ცხაკაია, მამულია, სუხიშვილი, გ. დევდარიანი, და შ. მათიკაშვილი.**

მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა — საქ. კ. პ. (ბ) ცეკას, საქ. ცაკს და ს.კ.პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტს და ა.-კ. ცაკს.

ახალი საბჭოები შეუდგნენ მუშაობას

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

ხონის რაიონში საბჭოების საანგარიშო - საგადარჩევნო კამპანია წარმატებით ჩატარდა, რაც უნდა მიეწეროს სარაიონო ხელმძღვანელობის მიერ მუშაობის გეგმიანათ დაწყებას და მასთან კარგ ამინდებსაც.

არჩევნების ჩატარებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ღარიბ, საშუალო გლეხებმა, მუშებმა, კომკავშირლებმა, დელეგატ ქალებმა და კოლმეურნეებმა. ისინი ადრე გამოეხმაურნენ კამპანიის მსვლელობას; მათ მშრომელი მასები მთლიანად დარაზმეს ყოველგვარი გადახრების და ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მთაგორიან თემებში, როგორიც არის კონჩხა-გორდი, ამომრჩეველთა დასწრება დიდი იყო. ხონის რაიონში ხმის უფლების მქონე არის 19116 კაცი, მათ შორის 10061 ქალია. ხმის უფლება მოკლებულთა რიცხვი უდრის — 765.

მთელ რაიონში არჩეულია სულ 420 საბჭოს წევრი, მათ შორის —91 ქალია, 11 — წითელარმიელი, 40—მუშა, 22 მასწავლებელი და სხვ. საერთო რიცხვიდან: 102 —კომუნისტია, 72 კომკავშირელი და 246 უპარტიო.

თემებში ადგილი ქონდა კულაკურ გამოსვლებს, მათ უნდოდათ თავიანთი აგენტების გაყვანა საბჭოებში, მაგრამ როგორც ყოველთვის, პარტიის, ღარიბი და საშუალო გლეხების და კოლმეურნეობის სასტიკი წინააღმდეგობის გაწევით — კულაკებს და მათ აგენტებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

ეჭვი არაა, რომ ხონის რაიონის საბჭოების სარაიონო ყრილობა ბოლშევიკურად გადასწყვეტს სოციალისტური მშენებლობის ყველა აქტუალურ საკითხებს და უზრუნველყოფს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ღონისძიებათა მტკიცედ გატარებას, პარტიის გენერალური ხაზის გადაუხრელად დაცვის საფუძველზე.

ავ. ქაროსანიძე.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება ზემო-სვანეთის შესახებ არ არის შესრულებული

ამ რამოდენიმე თვის წინად თბილისიდან გაგზავნილმა კომისიამ აღმოაჩინა სვანეთის ხელმძღვანელ აპარატში მთელი რიგი უმსგავსოებანი, რის შედეგად საქართველოს კომ. პარტიის (ბ) ცეკამ გამოიტანა სპეციალური დადგენილება ზემო სვანეთში პარტიულ და საბჭოთა მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ცენტრალური კომიტეტის ბიურო თავის დადგენილებაში აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ სვანეთს განსაკუთრებული ყურადღება არ ექცეოდა ცენტრის ზოგიერთ ორგანოების მიერ, რის გამოსწორებასაც ის ხაზგასმით მოითხოვდა — მოკლე ხნის განმავლობაში.

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრ ცენტრალურ ორგანოების მიერ დღემდის არავითარი ნაბიჯი არ არის გადადგმული ამ მხრივ. მაგ. მიწადმოქმედების კომისარიატს, რომელსაც სვანეთის სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის მიზნით უნდა მოეწოდებინა სვანეთისათვის სხვადასხვა სამეურნეო იარაღები, მიევლინა რაიაღმასკომის განკარგულებაში მესაქონლე სპეციალისტი, აგრეთვე მესაქონლეობის დარგში მომუშავე საექიმო პერსონალი, დღემდის არც ერთი ეს დავალება არ შეუსრულებია.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა სვანეთში საჭირო საექიმო პერსონალის მივლინება — ეს დავალება ჯერ არ შეუსრულებია.

სვანეთის აღმასკომის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის აღმშენებლობის წარმოება გადაცემული ჰქონდა მოიჯარადრე ვინმე ქურდიანს. ამ მოიჯარადრემ აგო რამოდენიმე შენობა და რამოდენიმესაც საძირკველი ჩაუყარა. ამის შემდეგ აღმასკომი ხსნის ზემოხსენებულ მოიჯარადრეს, ხოლო მის მიერ დაწყებული მთელი საქმე არეულია, შეუძლებელია იმის გამორკვევა, თუ რამდენად დავალიანებულია ხსენებული მოიჯარადრე აღმასკომისადმი და სხვა.

ამ გამორკვევას კი ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალ მშენებლობისათვის. ამ საკითხის სასწრაფოდ გამორკვევა და დაწყებულ მშენებლობის დასამთავრებლად საჭირო ღონისძიებების მიღება — ბიურომ დაავალა ს.მ.უ.ს. და საამშენებლო კომისიას, მათ სვანეთში უნდა მიევლინათ კომისია, მაგრამ დღემდის არც ეს დავალება არ არის შესრულებული.

საჭიროა მეტი ყურადღება მიაქციონ ზემო-სვანეთს ცეკავშირმა, მესაქონლეობის კავშირმა, განათლების კომისარიატმა, შინამრეწველობის კოოპერაციამ და რესპუბლიკის პროკურატურამ. უკანასკნელმა გაგზავნა სვანეთში პროკურორი, მაგრამ არ უზრუნვია იმისათვის, რომ ის მოამარაგოს საკანცელარიო ნივთებით და პროკურატურის მუშაობისთვის შექმნას სვანეთში სათანადო შტატი. ამ მხრივაც ცეკას დადგენილება შესრულებული არ არის.

დაბოლოს რამოდენიმე სიტყვა მინდა ვსთქვა ზემო-სვანეთის რაიონის 1931 წლის ბიუჯეტზე. საქართველოს ფინსახკომის მიერ წარმოდგენილი საკონტროლო ციფრები იმდენად მცირეა ცეკას ბიუროს ზემოხსენებულ დადგენილებით გათვალისწინებულ გეგმის განსახორციელებლად, რომ მას შეუძლია დააკმაყოფილოს მხოლოდ რაიონის ადმინისტრატიული და საყოველთაო სწავლების ხარჯები. არავითარი სახსრები არ რჩება იმ მშენებლობისათვის, რომლის სასწრაფოდ დასრულება მითითებულია ცეკას დეკემბრის დადგენილებაში, არაფერი რჩება მთელ რიგ ღონისძიებათა გატარებისათვის სასოფლო სამეურნეო დარგში, რომელიც დღემდე მივიწყებული იყო.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ის ორგანოები, რომელთაც ცენტრალური კომიტეტის დადგენილება აკისრებს განსაზღვრულ ვალდებულებებს ზემო-სვანეთის მიმართ, დროზე გადადგამენ ნაბიჯს დადგენილების სისრულეში მოსაყვანად.

ბ. პირველი.

ხორცის დამზადების გეგმას ჩაშლა მოელის

(ქუთაისი)

გასულ წელს ხორცის დამზადების საქმეში, დამამზადებელმა ორგანიზაციებმა დაუშვებელი გულგრილობა გამოიჩინეს. ზემდგომ ორგანოების მიერ მოცემული ხორცის დამზადების გეგმა ქაღალდზე დარჩა. ვფიქრობდით, შემდეგ მაინც გამოეხმაურებოდნენ მუშკოოპს, „მასიტორგი“-ს და შინავაჭრობის განყოფილების ბიუროკრატები, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ნოემბერ - დეკემბერში მოცემული გეგმა ქუთაისის რაიონში ხელმძღვანელოდ ჩაშალეს. ბიუროკრატებს, მხოლოდ მაშინ მოაგონდათ ეს საქმე, როდესაც საქ. მუშგლეხინის რწმუნებულმა მოკითხა მათ გეგმის შესრულებაზე. ხორცის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა ათ იანვრამდე არ იცოდნენ, თუ რა საკონტროლო ციფრები ჰქონდათ მათ მიცემული. ეს მაშინ, როდესაც მათ მთელი წლის გეგმა, იანვარ-მარტის განმავლობაში, 70 პროცენტით უნდა შეესრულებინათ. ამ რიგად დამზადების გეგმას ჩაშლა მოელის.

მარტო ამით არ აიხსნება ის უყურადღებობა, რომელიც ხორცის დამზადების შედეგად გვაქვს; საქ. ვაჭრობის კომისარიატმა, ცეკავშირმა და „სოიუზმიასო“-მ არ უზრუნველჰყვეს თავის დროზე საკონტროლო ციფრების გადმოგზავნა რაიონში, მოდუნებული იყო მათი ინსტრუქტორების დავალების შესრულების ტემპი, არ სჩანდა მათდამი კონტროლი და სხვა.

10 იანვრამდე არც ერთი სული საქონელი არ დამზადებულა. ასეთმა უყურადღებობამ ბაზარზე კერძო სექტორი გაამაგრა. შინავაჭრობის მიერ ხორცზე დაწესებული ფასები უხეშად ირღვეოდა, ხოლო შინა ვაჭრობა და კოოპერაცია ერთმანეთში მიმოწერას მოუნდნენ, თუ როგორ მიდგომოდნენ ხორცის ფასების მოწესრიგების საქმეს.

ქუთაისის სავაჭრო განყოფილების სათავეში სდგას პრაქტიკაში მემარჯვენე ოპორტუნისტი ივანე ბოკერია, რომელსაც მთელი თვე - ნახევარი არევ-დარევის მეტი არაფერი გაუკეთებია ხორცეულის მოწესრიგების საქმეში. ასეთივე იყო „სოიუზმიასო“-ს წარმომადგენლის —ასათიანის მოქმედებაც.

ქუთაისის სავაჭრო განყოფილების უთაოობით, მის მიერ შემუშავებული დამზადების გეგმა უვარგისი შეიქნა, ამიტომ მუშგლეხინის წარმომადგენლის თანადასწრებით ახალი გეგმა შეადგინეს. ამის გამო პარტხელმძღვანელობამ ხორცის დამზადების დამახინჯების გამო გადამჭრელი ზომები მიიღო.

ბოკერიამ, ასათიანმა და მათ მსგავსმა ოპორტუნისტებმა სასტიკი პასუხი უნდა აგონ პარტიის დირექტივის უხეშად დარღვევისათვის.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა

განსაკუთრებული ყურადღება რკინის გზის ტრანსპორტის გაჯანსაღებას

შემთხვევების შესახებ ამიერ-კავკასიის რკინისგზების მე-2 საექსპლოატაციო რაიონში

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, რომელმაც მოისმინა ინფორმაცია ამიერ-კავკასიის რკინის გზების მე-2 საექსპლოატაციო რაიონში 1930 წლის 30 დეკემბრიდან 1931 წლის 25 იანვრამდე მომხდარი შემთხვევების შესახებ, აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1930 წლის 31 დეკემბრის დადგენილებისა ყარაიაში მომხდარი მატარებლის მარცხის შესახებ, პარტიულმა, პროფესიონალურმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა მეორე საექსპლოატაციო რაიონში აქამდის ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა და ვერ მოახდინეს რკინის-გზელთა საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია შრომის დისციპლინის საკითხების გარშემო შემთხვევების ლიკვიდაციისათვის. პირიქით, შემთხვევები იზრდებიან არა მარტო რიცხობრივად, არამედ თავისი ხასიათით ისინი დიდ ზარალს აყენებენ რკინის გზას, რითაც საფრთხეში აგდებენ ტრანსპორტის 1931 წლის საფინანსო გეგმის შესრულებას.

26 დღის განმავლობაში მე-2 რაიონში ადგილი ჰქონდა 40-მდე შემთხვევას; მათ შორის მატარებლის 7 მარცხი სერიოზული ხასიათისა იყო. ამ მარცხებმა ხმარებიდან გამოიყვანეს „Э“ სერიის 8 მძლავრი ორთქლმავალი და 60-მდე ვაგონი. ამასთან ერთად მთავარ ხაზზე მოძრაობა შეწყდა 46 საათის განმავლობაში.

ამ შემთხვევების მთავარ მიზეზებად ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია:

1. შრომის დისციპლინის დაცემა მეორე რაიონში და აგენტების ერთი ნაწილის მეტად გულგრილი დამოკიდებულება თავიანთ მოვალეობისადმი;

2. რაიონის ხელმძღვანელების მხრით რკინის გზის ქვედა საფეხურის აგენტებისადმი, განსაკუთრებით პატარა სადგურების აგენტებისადმი, არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა და ინსტრუქტაჟი;

3. ცუდი ხარისხის რემონტი მოძრავი შემადგენლობისა, განსაკუთრებით ორთქლმავლების სარემონტო ქარხანაში და თბილისის დეპოში, (სხვადასხვა სახის შემთხვევათა შორის ორთქლმავლების გაფუჭებას მეორე ადგილი უკავია);

4. გზის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, განსაკუთრებით რაიონის აღმოსავლეთ უბანში;

5. საორთქლმავლო და სამატარებლო ბრიგადების (მემანქანეები, კონდუქტორები) ნაწილის არადამაკმაყოფილებელი კვალიფიკაცია;

6. რკინისგზელთა საგზაო კომიტეტის სუსტი ხელმძღვანელობა ქვედა საფეხურის პროფუჯრედებისადმი მეორე საექსპლოატაციო რაიონში.

7. პარტორგანიზაციის სუსტი მუშაობა მატარებლების მოძრაობასთან დაკავშირებულ აგენტებს შორის და ასეთი აგენტების უყოლობა პატარა სადგურებზე.

ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს რკინის გზის არასაკმაოდ მომზადებას შემთხვევებისათვის დამხმარე მატარებლების მოწყობის მხრით სათანადო ტეხნიკური ხელსაწყოებით (ამწევი ონკანები, მძლავრი დომკრატები და სხვ.), აგრეთვე საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-საექიმო პირობებით (სინათლე, მუშების დასასვენებლად მოწყობილი ვაგონები, პატარა აფთიაქები და სხვ.)

ზემოაღნიშნულის მიხედვით, ცენტრალური კომიტეტის სამდივნო ადგენს:

1. რაიონის მიმართ არასაკმაო ხელმძღვანელობისათვის, რამაც გამოიწვია მატარებლის მარცხის შემთხვევები დიდი მატერიალური ზარალით და რაიონი გადააქცია ამიერ-კავკასიის რკინის გზების მტკივნეულ ადგილად—მოხდეს რაიონის ხელმძღვანელი შემადგენლობის განახლება.

დაევალოს დირექციას — სასწრაფოდ განახორციელოს ეს გადაწყვეტილება.

2. დაევალოს საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას—დეკადის ვადაში შეამოწმოს მოძრავი შემადგენლობის რემონტის მდგომარეობა სარემონტო ქარხანაში და თბილისის დეპოში, შედეგები დასკვნებით წარმოუდგინოს ცენტრალურ კომიტეტს.

3. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების განხორციელებისათვის წინადადება მიეცეს ლენინის, სტალინის და „26“ კომუნარის რაიკომებს და შრომის სახალხო კომისარიატს 1931 წლის 15 თებერვლამდე დააბრუნონ ტრანსპორტზე ყველა ის მემანქანეები და მემანქანეების თანაშემწენი, რომელნიც უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მივლინებულნი იყვნენ სხვა სამუშაოებზე გზის გარედ.

4. რაიონის აღმოსავლეთ უბანში გზის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო, დაევალოს რკინის გზის საქმეთა პროკურორს—დეკადის ვადაში გამოააშკარაოს დამნაშავენი მათი პასუხისგებაში მისაცემად.

5. ამიერ-კავკასიის რკ. გზების დირექციამ დაუყოვნებლივ შეისწავლოს დამხმარე მატარებლების მდგომარეობა მათი რაციონალიზაციის მიზნით ტრანსპორტის განვითარების არსებულ ტემპებთან შედარებით (მძლავრი ორთქლმავლები, დიდრონი ცისტერნები, მძიმე შედგენილობანი და სხვ.). ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს დირექციის და რაიონის რაციონალიზატორული ორგანოების არასაკმაო ყურადღებას ამ საქმისადმი.

6. დროულად და მიზანშეწონილად ჩატარდეს სარაიონო პროფკომიტეტის დაარსება თბილისში.

7. წინადადება მიეცეს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას—დეკადის ვადაში ჩაატაროს პარტიული მუშაობის რეორგანიზაცია ტრანსპორტზე, თანახმად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებისა.

8. ხაზის სასამართლო დაუყოვნებლივ შეუდგეს შემთხვევათა შესახებ არსებული საქმეების გარჩევას; განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა უნდა მიექცეს მატარებლების მარცხის შემთხვევებს და ეს საქმეები უნდა გაირჩეს საჩვენებელი პროცესებით.

9. წინადადება მიეცეს რკინის გზის საქმეთა პროკურორს — სასწრაფოდ გამოიძიოს რკინის გზაზე მომხდარ შემთხვევებთან დაკავშირებული ყველა საკითხები და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავენი არა უგვიანეს 3—5 დღისა შემთხვევის დღიდან.

10. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მახლობელ სხდომაზე მოსმენილ იქნას მოხსენება მე-2 საექსპლოატაციო რაიონში პარტიულ-მასიური მუშაობის მდგომარეობის შესახებ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 10 სექტ., საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 10 ნოემბრის და საკ. კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

ვოლგის ცემენტის ქარხანა „ბოლშევიკი“

თუ იმ დავალების ან გადაწყვეტილების შესრულებისათვის. „საბჭოთა დაწესებულებების მართველობის ყველა საკითხების კოლეგიალურ გარჩევას და გადაწყვეტას — სწერს ლენინი ხსენებულ პროექტში—თან უნდა ახლდეს, რომელიც არ უნდა იყოს საბჭოთა თანამდებობაზე მყოფი ყოველი პირის ყველაზე უფრო მკაფიოთ პასუხისმგებლობის დაწესება გარკვეული, ნათლად და უორაზროვნოდ გამოხატული დავალებებისათვისა და პრაქტიკული მუშაობის შესრულებისათვის... ყველა ხელმძღვანელი საბჭოთა დაწესებულებანი, როგორც, მაგალითად: აღმასკომები, საუბერნიო და საერთო საქალაქო საბჭოები და სხვ. ვალდებულნი არიან იმნაირად გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, რომ პირველი ადგილი დაიკავოს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი დაწესებულებების გადაწყვეტილებათა ნამდვილი განხორციელების ფაქტიურმა კონტროლმა, ხოლო სხვა სახის მუშაობა მაქსიმალურად შესაძლებელი ოდენობით გადაეცეს დამხმარე კომისიებს, რომლებიც შედგენილი იქნებიან მოცემული დაწესებულების წევრთა პატარა რიცხვიდან“. (ეს და ქვემოდ მოყვანილი ამონაწერების დიდი ნაწილი მომყავს ლენინის ინსტიტუტის დავალებით ამხ. ტოვსტუხას მიერ შედგენილი წიგნიდან: „ვ. ი. ლენინი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმთან და ვოლოკიტასთან ბრძოლის შესახებ“). თავის ყოველდღიურ მუშაობაში ლენინი თვით იძლეოდა მაგალითს ასეთი წესისას, აძლევდა ამა თუ იმ დავალებას ამა თუ იმ ამხანაგს მისი **პირადი პასუხისმგებლობის** ქვეშ და მოითხოვდა მისგანვე ამ დავალების **შესრულების შესახებ ცნობების რეგულიარულად** მიწოდებას.

ამხ. გორბუნოვისადმი მიმართულ წერილში სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მუშაობის დაყენების შესახებ ლენინი ეხება სხვათა შორის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის (გორბუნოვის) და მისი თანაშემწის (სმოლიანინოვის) შორის, ფუნქციათა ზუსტად განაწილებას. ეხება იმას, რომ თუ **რომელმა** მათგანმა **რომელ** საქმეზე (მაგ. ელექტროგუთანი, ჰიდროტორფი, ტარიფები და სხვ.) უნდა იქონიოს **პირადად** ზედამხედველობა. „საჭიროა — სწერს ის — თითო საქმეში დროგამოშვებით (კვირაში ერთხელ. თვეში ან ორ თვეში ერთხელ, საქმის ხასიათისა და მნიშვნელობის მიხედვით — შემდეგ კი **უეცრად**) მოახდინო რეალური შესრულების შემოწმება. ეს არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ყველაზე უფრო საჭირო. თითო შემოწმების შედეგები უნდა იქნეს აღნიშნული... საზოგადოდ დაწესება ზუსტი პერსონალური პასუხისმგებლობისა არის სახკომსაბჭოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს საქმეთა მმართველის უმნიშვნელოვანესი საქმე. ამას მე მოვითხოვ ყველაზე უფრო სასტიკად“.

1922 წ. 24 იანვარს ამხ. ციურუპასადმი მიმართულ წერილში, სადაც ლაპარაკია სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მუშაობის რეორგანიზაციის შესახებ, ის სწერს შემდეგს: „ყველაზე ძირითადი ნაკლი სახკომსაბჭოსი და შრომისა და თავდაცვის საბჭოსი არის შესრულების შემოწმების უქონლობა. ჩვენ გვითრევს საზიზღარი ბიუროკრატიული ჭაობი ქაღალდების წერაში, დეკრეტებზე ლაპარაკში, დეკრეტების წერაში და ამ ქაღალდის ზღვაში იძირება ცოცხალი მუშაობა. ჭკუიანი საბოტაჟნიკები განზრახ გვიწევენ ამ ქაღალდის ჭაობში. სახალხო კომისრების და სხვა წარჩინებულების უმრავლესობა შეუგნებლად „იცვამენ თავზე მარყუჟს“: სასტიკი სამკურნალო რეჟიმით უნდა ისარგებლოთ თქვენ, რომ **რადაც არ უნდა დაჯდეს** მოსწყვიდეთ ფაციფუცსა და აურზაურს, კომისიებს, უთავბოლო ლაპარაკსა და ქაღალდების წერას, მოსწყვიდეთ და **მოიფიქროთ** მუშაობის სისტემაზე და **გადააკეთოთ ის რადიკალურად**. თქვენი მუშაობის ცენტრად უნდა გადაიქცეს სწორედ ეს გადაკეთება ჩვენი **საზიზღარ - ბიუროკრატიული მუშაობის**. ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და ვოლოკიტასთან, **შესრულების შემოწმება**. შესრულების შემოწმება, შემოწმება იმისი, თუ რა გამოდის ნამდვილად — აი თქვენი ძირითადი და მთავარი ამოცანა; შექმენით ამისათვის პატარა (4-6 კაცი) აპარატი ყველაზე უფრო გამოცდილი და შემოწმებული თანაშემწეებისაგან (საქმის მმართველი, მისი თანაშემწეები, მდივანი და სხვ.)... საჭიროა გორბუნოვთან ერთად შეიმუშაოთ წერილობითი დებულება საქმის შეტანისა და გატარების და **არა ნაკლებ ერთხელ** თვეში შეამოწმოთ **პირადად თქვენ**, ასრულებენ მას თუ არა, აღწევს თუ არა მიზანს, ე. ი. მცირდება თუ არა ქაღალდები, ვოლოკიტა, უფრო მეტად მოფიქრებულია თუ არა, მიღწეულია თუ არა სახალხო კომისრების პასუხისმგებლობა, **შეცვლილია თუ არა ნაუცბადევად დაწყებული დეკრეტები შესრულების ფრთხილი, ხანგრძლივი, საქმიანი შემოწმებით და გამოცდილების შემოწმებით**, პირადი პასუხისმგებლობის დაწესებით (ჩვენ გვაქვს სრული ფაქტიური უპასუხისმგებლობა მაღლა სახალხო კომისარიატებში, მათ განყოფილებებში, და საბოტაჟნიკები ამით დიდებულად სარგებლობენ; შედეგია — ობლომოვშჩინა, რომელიც ღუპავს საქმეს“). წერილის დასასრულს კვლავ უბრუნდება შესრულების შემოწმებას და უმატებს: „ამნაირად თქვენ უნდა განთავისუფლოთ თავი ფაციფუცისა და აურზაურისაგან, რომელიც **ჩვენ ყველას გვღუპავს**, უზრუნველჰყოთ თქვენთვის დამშვიდებით ფიქრი მუშაობის შესახებ **მთლიანად**—და, რაც მთავარია, მთელი უნარით მოჰკიდოთ ხელი შესრულების შემოწმებას, ბიუროკრატიზმთან და ვოლოკიტასთან ბრძოლას“. (ხაზი ყველგან ლენინის არის. ნ. კ.).

ამავე საკითხს ეხება ლენინი თავის მეორე წერილში იმავე ამხანაგ ციურუპას მიმართ. აქაც ხაზგასმით და კატეგორიულად მოითხოვს შესრულების განხორციელებას. ის სწერს: „მთავარია, ჩემის აზრით, სიმძიმის ცენტრის გადატანა დეკრეტებისა და ბრძანებების წერიდან (ჩვენ აქ ჩავდივართ სისულელეს იდიოტობამდე) **ადამიანების არჩევასა და შესრულების შემოწმებაზე.** ამაშია ღერძი“.

1922 წლის 27 თებერვალს ლენინი სწერს დირექტივის პროექტს შრომისა და თავდაცვის საბჭოს, სახალხო კომისართა საბჭოს და აგრეთვე მცირე სახკომსაბჭოს მუშაობის შესახებ. აქ ის ეხება ამ დაწესებულებათა ნაკლოვანებებს. აღნიშნავს სხვათა შორის, იმას, რომ პასუხისმგებელ მუშაკებს არ აქვთ იმის შეგნება, რომ პირველი რიგის ამოცანას დირექტივების წერა კი არ შეადგენს, არამედ **„ადამიანთა შერჩევა, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაწესება მათ მიერ წარმოებული საქმისათვის, მუშაობის ფაქტიური შემოწმება.** სხვანაირად ვერ დავაღწევთ თავს ბიუროკრატიზმსა და ვოლოკიტას, რომელიც ჩვენ გვახრჩობს“-ო და ისევ მოითხოვს, რომ „გადავსწიოთ სიმძიმის ცენტრი შესრულების ფაქტიურ შემოწმებაზე“-ო.

ერთი თვის შემდეგ, იმავე წლის 27 თებერვალს ლენინი კვლავ უბრუნდება ისევ ამ საკითხს თავის წერილში ამხ. მოლოტოვისადმი. წერილში ლაპარაკია უმთავრესად ცეკას იმ პოლიტიკური მოხსენების გეგმის შესახებ, რომლითაც ლენინი უნდა გამოსულიყო პარტიის მეთერთმეტე ყრილობაზე. სხვა საკითხებს შორის, რომელთა შესახებ ის წინადადებას აძლევს ცეკას რომ შეეხება თავის მოხსენებაში, არის ისევ საკითხი შესრულების შემოწმებაზე. მოხსენების გეგმის ამ ნაწილში ის ჩამოთვლის შემდეგ საკითხებს: „ინტერვენციის შესაძლებლობა. ფინანსიური კრიზისის საფრთხე. „შესვენების“ გამოყენება; მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ ადამიანთა შერჩევასა და შესრულების ფაქტიურ შემოწმებაზე... მოხსენების დამატებით უნდა მიეთითოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის როლის შესახებ, ჩემი მიმოწერის შესახებ. ამაზე ამხ. ციურუპასთან 1922 წ. იანვრის დასასრულიდან; მიეთითოს მუშაობის ახალი დაყენების დებულებაზე, რომელიც შეიცავს შესრულების ყველაზე მეტ შემოწმებას და რომელსაც ვამუშავებთ ახლა ჩვენ სამივე (პლიუს რიკოვი)“.

განსაკუთრებული სიძლიერით გაუსვა მან ხაზი ამ დებულებას თავის სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა 1922 წლის 6 მარტს მელითონეთა სრულიად რუსეთის ყრილობის კომფრაქციის სხდომაზე. „ჩვენ გვესაჭიროება — მიმართავს ის ფრაქციას — შემოწმება ადამიანთა გამოსადეგობისა, შემოწმება ფაქტიური შესრულებისა.. ადამიანთა შემოწმება და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება—ამაში, კიდევ ამაში, მხოლოდ ამაშია ახლა ღერძი მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის. ეს არის საქმე არა რამოდენიმე თვის, არა ერთი წლის, არამედ საქმე რამოდენიმე წლის. ჩვენ ოფიციალურად უნდა ვთქვათ პარტიის სახელით, თუ რაში მდგომარეობს ახლა მუშაობის ღერძი და ამასთან შეფარდებით უნდა გადავაჯგუფოთ რიგები. მაშინ ჩვენ ამ ახალ დარგში ისევ გვიმარჯვებთ, როგორც ვიმარჯვებდით დღემდე — მუშაობის ყველა დარგში, რომელსაც კი შესდგომია ბოლშევიკური პროლეტარული ხელისუფლება გლეხური მასების დახმარებით“. **(ლენინი, ტ. 18, მეორე ნაწილი, გვ. 16).**

როგორც უკვე ნათქვამი იყო ამხ. მოლოტოვისადმი მიმართულ წერილში, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ გაკვრით, ლენინი თავის მოხსენებაში პარტიის მეთერთმეტე ყრილობაზე შეეხო ამავე საკითხს: „საჭიროა გამოიცვალოს სახკომსაბჭოს მუშაობის ხასიათი იმ მხრივ, რომელიც მე ვერ მოვახერხე უკანასკნელი წლის განმავლობაში: ბევრად მეტი ყურადღება მიექცეს იმას, რომ თვალყური ვადევნოთ შესრულების შემოწმებას.. თუ სრულიად რუსეთის ცაკის სესიები იქნებიან უფრო ხანგრძლივი, ისინი დაიყოფიან სექციებად და ქვეკომისიებად და მოახერხებენ უფრო სასტიკად გაატარონ მუშაობა და მიაღწიონ იმას, რაც, ჩემი აზრით, შეადგენს ახლანდელი მომენტის მთელ ღერძს, მთელ არსს. სიმძიმის ცენტრი გადატანილი იქნეს ადამიანთა შერჩევაზე, ფაქტიური შესრულების შემოწმებაზე. **(ლენინი, ტ. 18, მეორე ნაწილი, გვ. 52-53).**

ლენინის ამ შეხედულებებმა, მრავალჯერ დაყენებით და კატეგორიულად გამოთქმულმა აზრებმა იმ მნიშვნელობის შესახებ, რომელსაც ის ანიჭებდა გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას სახელმწიფოს აპარატის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში — ჰპოვეს შემდეგ მკაფიო გამოხატულება პარტიის ყრილობებისა და კონფერენციების გადაწყვეტილებებში, როდესაც ირჩეოდა სპეციალურად ეს საკითხი (მეთექვსმეტე პარტკონფერენცია) ან და კიდევ ც.ს.კ.—მუშგლეხინის მოხსენების გამო მიღებულ დადგენილებებში. ასე, მაგალითად, პარტიის მეხუთმეტე ყრილობამ თავის რეზოლუციაში ც.ს.კ.—მუშგლეხინის მუშაობის შესახებ, სთქვა ამ საკითხზე შემდეგი: „გაძლიერებულ იქნეს თანახმად ლენინისა და ლენინის პარტიის არა ერთგზობითი მითითებისა, საბჭოთა კანონების შესრულების შემოწმება, უზრუნველყოფილი იქნეს მუშებისა და გლეხების დახმარებით მთავრობის ყველა უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების მასიური შემოწმება და დაწესებული იმ პირებისა და ორგანიზაციების უსასტიკესი პასუხისმგებლობა, რომლებიც დანაშაულნი არიან მთავრობის კანონების შეჩერებასა და შეუსრულებლობაში. გაძლიერებული იქნეს შემოწმება პარტიის დირექტივების გატარებისა კომუნისტების მხრივ, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო აპარატში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. კერძოდ, მოწყობილ იქნეს სისტემატიური შემოწმება ნაციონალური პოლიტიკის პრაქტიკისა ნაციონალურ რესპუბლიკებში და ოლქებში“.

იგივე აზრია გატარებული კიდევ უფრო კატეგორიულად და ხაზგასმით პარტიის მეთექვსმეტე ყრილობის გადაწყვეტილებაში ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენების გამო ც.ს.კ.—მუშგლეხინის მუშაობის შესახებ. რეზოლუცია, აღნიშნავს რა, რომ სოციალისტურ მშენებლობაში მიღწეული უდიდესი გამარჯვებები, მუშათა კლასის კულტურულ-პოლიტიკური დონის ზრდა და აპარატის წმენდაში მასების მონაწილეობის დადებითი შედეგები „შესაძლებლად და აუცილებლად ხდიან გაშლილ შეტევას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ“ — ყოველივე ამის შემდეგ რეზოლუცია ამბობს ამჟამად ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ შემდეგს: „ბრძოლა ბიუროკრატიზმთან მოცემულ სტადიაზე არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ შტატების შემცირებით, ბრძოლით ვოლოკიტასთან, მიმსვლელებისადმი ცუდ მოპყრობასთან და სხვ. „ადამიანების შემოწმება და საქმის ფაქტიური შემოწმება, ამაში, მხოლოდ ამაში, კიდევ ამაშია ახლა მთელი მუშაობის ღერძი“. ვლადიმირ ილიჩის ეს მითითება ახლა, ახალ ეტაპზე იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ხდება ბიუროკრატიზმთან **მთელი ბრძოლის ცენტრალურ ამოცანად**. უპასუხისმგებლობა, ჩინოვნიკური თვითკმაყოფილება, პარტიის და მთავრობის დირექტივების პატიოსნური და ზუსტი შესრულების უქონლობა არის ბიუროკრატიზმის ყველაზე უფრო სახიფათო და გაბოროტებული სახეობა. დაუნდობელი ბრძოლა ამ მოუთმენელ ბოროტების წინააღმდეგ, შესრულების შემოწმების აუცილებლად მიყვანა ბოლომდე — **უნდა შეიქმნეს გენერალურ დებულებად ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში**“. (ხაზი ჩემია. ნ. კ.).

ლენინის ზემოდმოყვანილი შეხედულებები დაედო საფუძვლად პარტიის მეთექვსმეტე კონფერენციის გადაწყვეტილებებსაც „ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შედეგებისა და უახლოესი ამოცანების შესახებ“, რომელიც მიღებული იყო ამხ. იაკოვლევის მოხსენების გამო. ამ გადაწყვეტილებაში შესრულების შემოწმების პრინციპმა დაიკავა სათანადო ადგილი. სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის მუშაობის დარგში მორიგ ძირითად ამოცანათა შორის კონფერენციამ **ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ნაწილად** სცნო გადაწყვეტილებათა ფაქტიური შესრულების შემოწმება. ამის შესახებ კონფერენციის რეზოლიუციაში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს: „საბჭოთა აპარატის ძირითად და უმნიშვნელოვანეს ნაკლად ითვლება ის, რომ დღემდე ცუდად სრულდება და ხშირად მახინჯდება პარტიული დირექტივები და საბჭოთა გადაწყვეტილებანი. ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშგლეხინის მუშაობის გამოცდილებამ მთლიანად დაადასტურა იმის სიმართლე, რომ მთავრობის კანონების, მისი განკარგულებების და პარტიული დირექტივების შესრულების კონტროლი არის არა მარტო ერთი უმნიშვნელოვანეს საშუალებათაგანი ბიუროკრატიზმთან და ვოლოკიტასთან ბრძოლაში, არამედ ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საშუალებათაგანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა საბჭოთა ორგანოების მუშაობის სწორ კლასიურ ხაზს. შესრულების სისტემატიური შემოწმების დაწესება და რევოლუციონური კანონიერების დაცვა უნდა შეიქნეს ყველა პარტიული, სამეურნეო და საბჭოთა ორგანოების ყველა საფეხურებზე უმნიშვნელოვანეს ამოცანად. ცენტრალურ საკონტროლო კომისია — მუშგლეხინმა, „როგორც ეს გათვალისწინებული არის მუშგლეხინის მუშაობის გეგმით, შესრულების შემოწმება უნდა გახადოს სულ უფრო მეტად თავისი მუშაობის ცენტრად, რომ ამნაირად მიღწეული იქნას პარტიის დირექტივების და მთავრობის დადგენილებების არა მარტო სწრაფი და ზუსტი შესრულება, დირექტივების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზების აღკვეთა, არამედ პრაქტიკული გამოცდილების კვალობაზე თვით დირექტივების სისწორის შემოწმებაც“.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული ზემოდ, გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება მიზნად ისახავს აგრეთვე ამ გადაწყვეტილებათა სისწორის შემოწმებასაც ადგილების გამოცდილების მიხედვით. ამ გზით ჩვენ შევიძლია გამოვარკვიოთ, რა ნაკლი აქვს გადაწყვეტილებას, რამდენად ეგუება ის ადგილობრივი პირობების მოთხოვნილებას, რამდენად ის, გადატანილი ადგილობრივ პირობებში გასატარებლად, იჭერს გამოცდას პარტიის გენერალური ხაზის, პარტიის პოლიტიკის თვალსაზრისით. ეს არის ცენტრის დადგენილებათა შემოწმება ადგილების პრაქტიკით, როგორც ადგილების პრაქტიკის. მუშაობის კონტროლს წარმოადგენს შესრულების შემოწმება ცენტრიდან. „მხოლოდ ასეთი ურთიერთი კონტროლი ცენტრის განკარგულებებისა ადგილების პრაქტიკით და ადგილების პრაქტიკისა ცენტრის ხელმძღვანელობით საშუალებას მოგვცემს არა მარტო განვახორციელოთ ცენტრალურ დაწესებულებათა წინადადებებისა და დადგენილებების ურყევი შესრულება, არამედ კიდევაც შევიტანოთ იქ საჭირო შესწორებანი ადგილობრივ გამოცდილების მითითებათა თანახმად“.

მაგრამ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, როგორც უკვე ვთქვით, აუცილებლად ხდის სხვათა შორის ერთ წინასწარ პირობას, ურომლისოდ შეუძლებელია ამ საქმის გატარება. თუ გადაწყვეტილების გატარებისათვის გარკვეული არ არის თავიდანვე ამა თუ იმ პირის, ამა თუ იმ ორგანიზაციის პასუხისმგებლობა, ცხადია, ჩვენ გვესპობა საშუალება ან სუსტდება საშუალება ამ გადაწყვეტილების შესრულების შემოწმებისა, როგორც ეს საჭიროა თვით საქმის ინტერესებისათვის და იმისათვისაც, რომ მივიღოთ მასალა ამა თუ იმ პირის ან ორგანიზაციის მუშაობის უნარიანობის შესამოწმებლად, მუშაკების თუ ორგანიზაციების შესასწავლად. ერთ-ერთ თავის წინადადებაში სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა მუშაობის შესახებ, რომელიც (წინადადება) მან გაუგზავნა 1922 წლის აპრილში ცეკას პოლიტბიუროს წევრებს და ციურუპას მათი აზრის შესატყობად ამ საკითხზე, ლენინი სწერდა შემდეგს (იხ. ზემოხსენებული წიგნი — „ვ. ი. ლენინი საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების და ბიუროკრატიზმთან და ვოლოკიტასთან ბრძოლის შესახებ“): მოადგილების ძირითადი მოვალეობა არის „იმის თვალყურის დევნება, რომ პასუხისმგებლობა პირველ რიგში კოლეგიების წევრებისა და უმნიშვნელოვანესი საბჭოთა მუშაკების, შემდეგ კი ყველა საბჭოთა მუშაკებისაც იყოს სრულიად ზუსტად და ინდივიდუალურად გარკვეული; დაუნდობელი ბრძოლა გამეფებული უთავბოლობისა და გაურკვევლობის წინააღმდეგ საკითხში იმის შესახებ, თუ რა ევალება თითეულს ცალკე და დაუნდობელივე ბრძოლა აქედან გამომდინარე მთელი (полнейшей) უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ“.

როდესაც გარკვეული გადაწყვეტილების გატარებისათვის ან დავალებისათვის პასუხისმგებელია „ყველა“ — ასეთ შემთხვევაში ძნელი მისაგნებია ის, ვისაც უნდა მოთხოვო უშუალოდ პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც გინდა კონტროლი გაუკეთო შესრულების საქმეს და შეამოწმო ეს შესრულება. ამიტომ ისე არაფერი ავნებს შესრულების შემოწმების საქმეს, მასიური, ჯგუფური თუ ინდივიდუალური კონტროლის გატარების საქმეს, როგორც გაურკვევლობა იმ საკითხში, თუ ვინ, რომელი ორგანიზაციები ან პირები არიან პასუხისმგებელნი გარკვეულ გადაწყვეტილებათა გატარებისათვის. თუ არ იცი ვინ უნდა შეასრულოს გარკვეული დავალება, ვერც იპოვნი კონკრეტულ პირს, რომელიც მიზეზია საქმის შეუსრულებლობის ან და მისი ჩამორჩენის.

ჩვენ ვხედავთ ამნაირად იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელსაც აკუთვნებდა ლენინი, აკუთვნებს პარტია დღესაც პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას. სულ უკანასკნელი პარტიული დოკუმენტი, რომელიც სხვა საკითხთა შორის ერთხელ კიდევ მიაქცევს ჩვენს ყურადღებას შესრულების შემოწმების პრინციპს, არის საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და ც. ს. კომისიის დეკემბრის გაერთიანებული პლენუმის რეზოლიუცია საბჭოების არჩევნების შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „ბრძოლა ბიუროკრატიზმთან სახელმწიფო აპარატში და პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების **ნამდვილი შემოწმების უზრუნველყოფა** წარმოადგენს პარტიისა და სოციალისტური მშენებლობის ყველა, ნამდვილად აქტიურ მონაწილეთა **უმნიშვნელოვანეს ამოცანას**“. (ხაზი ჩემია. ნ. კ.).

ნ. კიკნაძე.

(დასასრული იქნება)

ქ რ ო ნ ი კ ა

რკ. გზელთა რაიპროფკავშირის ჩამოყალიბება

ამ რამდენიმე თვის წინად გაუქმებულ იქნა რკინისგზელთა საუბნო პროფკავშირი და მისი ფუნქციები გადაეცა ა.-კ. საგზაო კომიტეტს. პრაქტიკამ გამოარკვია, რომ საუბნო პროფკავშირის გაუქმებამ შეასუსტა პროფმუშაობა ადგილებზე, გამოიწვია შრომის დისციპლინის დაცემა, საწარმოო გეგმების შეუსრულებლობა და სხვ.

გადაწყდა კვლავ იქნეს აღდგენილი თბილისის საუბნო (მეორე) რაიპროფკავშირი, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

ტრამვაის სახელოსნოები გადავიდა განუწყვეტელ კვირაზე.

1-ლი თებერვლიდან თბ. ტრამვაის სახელოსნოებში შემოღებულია განუწყვეტელი 5 დღიანი სამუშაო კვირა.

განუწყვეტელ კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით სახელოსნოების მუშათა საერთო კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მუშები კისრულობენ 5 წლედის მესამე გადამწყვეტი წლის საწარმოო-საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულებას.

სხვადასხვა

— დღეს, 1-ლ თებერვალს, ხელოვნების სასახლეში საღამოს სრულ 6 საათზე შესდგება კომკავშირელ მწერალთა წრის საჯარო კრება. დღის წესრიგში დგას ამხ. კ. მელაძის მოხსენება: „ლირიკის ზოგიერთი საკითხები“.

წრის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ცვალებად წითელ არმიელთა

შვიდ-დღიანი შეკრება

ცვალებად შემადგენლობის საშუალო მეთაურები, უნცროსი მეთაურები და წითელარმიელები დაბადებულნი 1905, 1906 და 1907 წლებში, რომელნიც მიწერილნი არიან მე-2 ქართულ საარტილერიო ლეგიონზე, მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის არტპარკზე და ვეტ-ლაზარეთზე, უნდა გამოცხადდენ 7 დღიან შეკრებაზე თავ-თავიანთ საცხოვრებელ რაიონებში.

შეკრებაზე უნდა გამოცხადდენ: თბილისის რაიონში 1 თებერვალს, დილის 8 ნახ. საათზე კლარა ცეტკინის ქ. № 119).

ხონის რაიონში— 6 თებერვალს დილის 8 ნახ. საათზე (ხონის წვევამდელთა წერტზე), **სამტრედიის და ვანის რაიონებში**—11 თებერვალს დილის 8 ნახ ს. (სამტრედიის წვევამდელთა წერტზე),

ქუთაისის რაიონში—16 თებერვალს დილის 8 ნახ. ს. (ქუთაისის წვევამდელთა წერტზე).

ვინც არ გამოცხადდება, მიცემული იქნება პასუხისგებაში.

სარწყავი წყლის გამოსაღების შეგროვება

დაუყოვნებლივ უნდა გაუმჯობესდეს

საქართველოს ფინანსთა კომისარმა რაიფინგანის გამგეებს და რაიაღმასკომის თავმჯდომარეებს დაუგზავნა წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ სარწყავი წყლის გამოსაღების ვადაზე შეგროვების საქმეში საქართველოს უკანასკნელი ადგილი უჭირავს ა.-კ. რესპუბლიკათა შორის. ამის მიზეზი პირველყოვლისა არის ადგილობრივი ორგანოების — განსაკუთრებით ფინორგანოების დაუშვებელი გულგრილობა და დაუდევრობა, რაც აშკარაა მემარჯვე ოპორტიუნიზმს წარმოადგენს.

ფინანსთა კომისარი წინადადებას აძლევს რაიფინგანის გამგეებსა და რაიაღმასკომის თავმჯდომარეებს თავის პასუხისმგებლობის ქვეშ სასწრაფოდ მოახდინონ გარდატეხა სარწყავი წყლის გამოსაღების შეგროვების საქმეში და ყოველ მიზეზს გარეშე უზრუნველყონ ხსენებული გამოსაღების მთელი ასი პროცენტით დაუყოვნებლივ შეგროვება.

ფინანსთა კომისარიატს განზრახული აქვს უახლოეს მომავალში შეამოწმოს რაიფინორგანოების მიერ სარწყავი წყლის გამოსაღების ასაკრეფად ჩატარებული მუშაობა. ამავე წერილით ფინანსთა კომისარიატი წინადადებას აძლევს რაიფინორგანოებს გადამჭრელი ზომები მიიღონ ფულადი სახსრების მობილიზაციის საკონტროლო ციფრების ვადაზე შესასრულებლად და არავითარ შემთხვევაში არ დააგვიანონ სადეკადო ცნობების წარმოდგენა სახსრების მობილიზაციის მსვლელობის შესახებ.

2.100.000 მან. საქონელი საქ. მშრომელთ

ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის გამგეობის წევრმა ამხ. ბოკოვმა, რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება დეპეშით აცნობა ცეკავშირს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 10 წლისთავის აღსანიშნავად უმაღლესი კოოპერატიული და სავაჭრო ორგანოების დადგენილებით გადაწყვეტილია გამოიგზავნოს საქართველოში 2.100.000 მანეთის დეფიციტური საქონელი.

გამოსაგზავნი საქონლის ასორტიმენტი ასეთია: შეკერილი ტანისამოსი — 400.000 მანეთის, კოჭის ძაფები — 20.000 მანეთის, სილიკატური ნაწარმოები — 180.000 მანეთის, ტრიკოტაჟი — 600.000 მანეთის, ფეხსაცმელები — 500.000 მანეთის.

მიღებული ცნობის თანახმად, საქონლის ნაწილი უკვე გამოიგზავნილია. ხოლო მეორე ნაწილი გამოიგზავნება იმ ვარაუდით, რომ დღესასწაულისათვის საქონელი უკვე მიღებული იქნეს ადგილებზე.

მუშათა კოოპერატივებს შორის.

საქონელი განაწილდება რესპუბლიკის

8 თებერვალს, დეკადის მე-3-ე დღეს, საღამოს 6 საათზე საქ. პროფსაბჭოს შენობაში (მე 2-ე სართული ოთახი № 20) შესდგება ინსტიტუტების მუშფაკების და ტეხნიკუმების კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრთა და სტუდკორთა თათბირი.

ამხანაგების დაუგვიანებლივ დასწრება სავალდებულოა.

გაზ. „პროლეტარულ სტუდენტობა“-ს რედაქცია.

მ უ შ ა თ ა მ ო მ ა რ ა გ ე ბ ა

პურის წიგნაკების გასაცემი პუნქტები.

ახალი პურის წიგნაკების გაცემისა და გამოცვლის საქმის გასაადვილებლად მუშკოოპმა გადასწყვიტა ქალაქის სხვადასხვა რაიონებში გახსნას სამი ახალი პუნქტი.

კომერციული მაღაზიების გახსნა

მუშკოოპის გამგეობამ გადასწყვიტა ქალაქში გახსნას ორი კომერციული მაღაზია, სადაც თავისუფალ ფასებში გაიყიდება სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

ერთი ამ მაღაზიათაგანი გახსნილი იქნება თავისუფლების მოედანზე, ხოლო მეორე რუსთაველის პროსპექტზე, თეატრების პირდაპირ.

საპნის დარიგება.

იმ მომხმარებლებს, რომლებთაც არ მიუღიათ საპნის დეკემბრის ნორმა, ასეთი დაურიგდებათ ახლო მომავალში. მუშკოოპი უახლოესი კვირის განმავლობაში მოცემს როგორც სარეცხ, ისე ხელის საპნის ახალ პარტიას.

საამხანაგო სასამართლოები წარმოება-დაწესებულებებში

სასამართლოს აპარატის გამარტივების და მათი მეტი დაახლოვების მიზნით მშრომელთა ფართო მასებთან, ჯერ კიდევ 2 წლის წინეთ წარმოიშვა აზრი დიდ წარ.-დაწესებულებებთან საამხანაგო სასამართლოების დაარსების შესახებ. ასეთმა სასამართლოებმა უნდა განტვირთონ არსებული სახალხო სასამართლოები, მცირე-მნიშვნელოვან საქმეებისაგან.

უკვე კარგა ხანია რუსეთისა და უკრაინაში თითქმის ყველა დიდ წარმოება-დაწესებულებებთან დაარსებულია საამხანაგო სასამართლოები და მათმა მუშაობამ უდავოთ დადებითი შედეგები მოგვცა.

საქართველოში საამხანაგო სასამართლოები დაარსებულია მხოლოდ რამოდენიმე წარმოებასთან. უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ეს სასამართლოები მოქმედებენ, მაგრამ როგორც უზენაეს სასამართლოს მიერ მოხდენილმა გამოკვლევებმა დაგვანახვა მათ განმტკიცებას და მათ მიერ მშრომელთა ფართო მასის მიზიდვას ხელს უშლის მათი მეტად ვიწრო კომპეტენცია.

ამჟამად საამხანაგო სასამართლოებს განახილველად ექვემდებარება მხოლოდ ა) საქმე მოქმედებით, სიტყვით და წერილობით მიყენებული შეურაცხყოფის შესახებ და აგრეთვე შემოკვრით მიყენებულ შეურაცხყოფის შესახებ, უკეთუ ამ უკანასკნელ მოქმედებას ფიზიკური ტკივილი არ გამოუწვევია ს.ს. კოდ. 174 მ. და ბ) საქმე ასეთი შეურაცხყოფის შესახებ, რაც მიყენებული იქნება გავრცელებული ან საჯაროდ გამოფენილი ბეჭდვითი ნაწარმოებით ან ნახატით. ს.ს. კოდ. 185 მუხ. იხ. საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება 1929 წ. 26 აგვისტოდან.

თუ შევადარებთ აქ ქვემდებარეობას რუსეთის საამხანაგო სასამართლოების ქვემდებარეობასთან დავინახავთ საკმაოდ დიდ განსხვავებას. რუსეთის საამხანაგო სასამართლოების კომპეტენციაში შედის არა მარტო ზემოხსენებული ხასიათის საქმეების განხილვა, არამედ ისეთი საქმეებისაც, როგორიც არის ცილისწამება, ქურდობა (25 მანეთის ფარგლებში), შრომის დისციპლინის დარღვევა, სამუშაო დროის გაცდენა, ლოთობა, ხულიგნობა, სამოქალაქო საქმეების (არა უმეტეს 25 მანეთისა და სხვ.).

ქვემდებარეობის სიმცირემ იმ მდგომარეობამდე მიიყვანა ჩვენში არსებული საამხანაგო სასამართლოები, რომ ისინი სცდილობენ თვითონ გაიფართოვონ ქვემდებარეობა და ღებულობენ წარმოებაში ისეთ საქმეებს, რომელთა განხილვა მათ კომპეტენციაში არ შედის; აგრეთვე ხშირი არის შემთხვევები, რომ სასამართლოები, ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე, სტიქიურად—თვითწარმოების მუშების ინიციატივით არსდება და უწოდებენ თავის თავს, ხან საამხანაგო სასამართლოებს და ხან კიდევ საწარმოო ტრიბუნალებს. ასეთ საწარმოო ტრიბუნალებს ხელმძღვანელობას უწევს პროფკავშირი თავის ხაზით, ხოლო საამხანაგო სასამართლოები უშუალოდ უზენაეს სასამართლოს ხელმძღვანელობით მოქმედებენ.

გამოდის, რომ ერთ და იმავე წარმოებასთან პარალელურად უნდა იმოქმედოს ორმა სასამართლომ—ერთმა არჩიოს საწარმოო ხასიათის საქმეები, ხოლო მეორემ ყოფაცხოვრებიდან გამომდინარე საქმეები, ასეთი ორი სასამართლოს არსებობა უნდა ჩაითვალოს არანორმალურ და ურთიერთ ხელის შემშლელ გარემოებად, ორი სახის სასამართლოს არსებობა ვერავითარ დადებით შედეგს ვერ გამოიღებს, პირიქით შექმნის უნაყოფო პარალელიზმს და შეაფერხებს ამ ახალ საქმეს.

ამიტომ საჭიროა დაჩქარდეს მთელი საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებულ დიდ წარმოება-დაწესებულებებთან საამხანაგო სასამართლოების დაარსება, მათი ქვემდებარეობის გაფართოება და ამ მხრივ მათი გათანასწორება რუსეთის საამხანაგო სასამართლოების ქვემდებარეობასთან.

ამ გარემოებას საქ. უზენაეს სასამართლომ თავის დროზე მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და ჯერ კიდევ 1929 წლ. ივლისში, აღძრა შუამდგომლობა ცაკის წინაშე მთელ რესპუბლიკაში საამხანაგო სასამართლოების დაარსების და მათი ქვემდებარეობის გაფართოების შესახებ. საჭიროა ამ საკითხის დაუყოვნებლივ განხილვა და მიზანშეწონილად გადაჭრა.

დ. ხეჩუა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ა.ლ.კ.ქ. ქალაქის რაიკომი ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს მობილიზაციის წესით იწვევს მომხსენებლად თემაზე: „ა.ლ.კ.ქ. მე-10 და მე-6 ყრილობის შედეგები“. ამხანაგებს ევალებათ გამოცხადდენ რაიკომში 1 თებერვალს საღამოს სრულ 6 საათზე საინსტრუქციო თათბირზე: ხატიაშვილი, ხუჯაძე, ხალვაში, კადიევი, (ა.-კ. კომუნ. უნ-ტი), ახობაძე, ცერცვაძე, მგალობლიშვილი (საფ.-კოოპ. ინსტ.), სილაგაძე (პედ. ინსტ.), თვარალაშვილი (ცეკავშირი), კუპრეიშვილი (სუბტროპიკული ინსტ.), გამსახურდია (იუსტ. კომის.), ჯიბლაძე, (მუშკოოპი), მასურაძე (მუშათა უნივ.), იმნაძე, ვაჭარაძე.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ცკას აგიტმას განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს, გამოცხადდნენ 1 თებერვალს განყოფილებაში: მგელაძე (ქალაქის ჯანმრთ. განყ.), ადამაძე (ფეიქართა კავშირი), მამულია (განათლების მუშაკთა კავშირი), ჩხაიძე („ნემსი“), ენუქიძე (ტყავის ტრესტი). შუბლაძე (განათლების კომისარიატი).

დღეს, 1-ლ თებერვალს, საღამოს 7 საათზე რკ. გზის მე-8 შრომის სკოლის შენობაში შესდგება ლენ-რაიონის განათლების მუშაკთა კომუჯრედის დახურული სხდომა.

—:—

საღ. 8 საათზე გზ. ინჟ. ინსტ. სამხაზველოში მოწვეულია ს.კ.პ. (ბ) უჯრედების დახურული საერთო კრება. დასწრება სავალდებულოა.

—:—

1-ლ თებერვალს საღამოს 7 საათზე განათ. მუშაკთა სახლში შესდგება ქალაქის რაიონის მასწავლებელთა კომუჯრედის დახურული კრება. დასწრება სავალდებულოა.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ცკას კულტპროპი დღეს, 1 თებერვალს, დილის 2 საათზე იწვევს ამხ. მახარაძესთან ამხ. ბუაჩიძეს (გაზ. „კოლექტივიზაცია“-ს რედაქცია) და სტრატიევს (ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი).

სახელმწ. ოპერა

დღეს, 1 თებერვალს	ორშაბათს, 2 თებერვალს	სამშაბათს, 3 თებერვალს
მე-15 აბონემ. მე-2 წარმ. ქართულ ენაზე	მე 7 აბონემენ. მე-9 წარ	1-ლი აბონ. მე-10 წარმ.
კარმენი	**დ ა ი ს ი**	**თავადი იგორი**

შაბათს, 7 თებერვალს, ლენინგრადის სახელმწიფო ოპერის მსახიობის ს. ი. მიგაის პირველი გამოსვლა ევგენი ონეგინი. ბილეთები იყიდება. წარმოდგენების დასაწყისი საღამოს სრულ 7 ს. 30 წუთზე.

ქართული სახელმწიფო დრამა მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

1 თებერვალს	2 თებერვალს	3 თებერვალს
აბონემენტის გარეშე	მე-7 აბონემ. მე-4 წარმ.	მე 6 აბონ. მე-4 წარმოდგ.
ყვარყვარე თუთაბერი	**არსენას ლექსი**	**არსენას ლექსი**

ვინც წარმოდგენის დღის 2 საათამდის არ შემოიტანს [illegible] 4 შემოსატანს წარმოდგენაზე [illegible] მათი ადგილები გაიყიდება სალაროში. პრემიერა „სამი ბღენძი“ შესდგება 7 თებერვ. შეძენილი ბილ. გამოდგება ამ დღისათვის.

სახ. ცირკი

დღეს და ყოველდღე ახალი საატრაქციონო პროგრამა

(ცნობილ მუსიკალურ სატირიკოსების ბიმ-ბომის (ნამდვილი) გასტროლი ცირკის გუმბათ ქვეშ მფრინავი 4 ჯიოვანის გასტროლი გრძელდება პირველი საბჭოთა ატომ [illegible] ტის გასტროლი. [illegible] და ბევრი სხვა ატრაქციონი. დასაწყისი 8 საათზე.

დღეს, 1 თებერვალს, დილით დიდი წარმოდგენა. დასაწყისი 2 საათზე. მონაწილეობს 50 გაწვრთნილი [illegible], გაწვრთნილი ძაღლების ჯგუფი, გაწვრთნილი ცხენები და სხვა. მონაწილეობს აგრეთვე მთელი დასი. ბ. 248

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

ა პ ო ლ ო I სეანსი იწყება 6 ს. II—7-30, III—9, IV—10-30.	ცნობილი ძაღლი რინ-ტინ-ტინ სურათში **კვალ-და-კვალ** პირველი დამატებითი სეანსის დასაწყისი 4 ს. 30 წუთზე
სპარტაკი საღამოს სეანსები I სეანსი იწყება 6 ს. II—7-30. III—9. IV—10-30.	[illegible] კომედია **გვამი დე-მური**
სპარტაკი დღის სეანსები I 12 ს. II 1—30 ს. III 3 ს.	ე. ცესარსკაია, ნ. ფერდინანდოვი, ნ. როგოჟინი სურათში **იუდა**
საზამთრო დარბაზი I სეან. იწყება 6 ს. II—7-30. III—9. IV—10-30.	პოლა ნეგრი სურათში **მეხვლეტავი მავთული**

კინო პალასი 1-ლი სეანსის დასაწ. 6—30	ახალი მხატვრული ფილმი **ქალაქები და წლები** მთავარ როლში ბერნარდ გეტცკე	**რ. ლიძის** სახ. კინო 1-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ.	ახალი ფილმი **პირის პირ** მთავარ როლებში: 3 ვოლოდკო, მ. [illegible], გ. [illegible] და სხვ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1930 წლის 19 ნოემბრის № 386 დადგენილებისა და იმ შეთანხმების თანახმად, რაც დადებულ იქნა სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-სა და „ზაქსელსტროი“-ს შორის, „საქართველოს ჩაის“ მთელი [illegible] მეურნეობის წარმოება ჩაის საბჭოთა მეურნეობების, საცდელი სადგურების, ჩაის ფაბრიკებისა და საგზაო მშენებლობის ხაზით 1931 წლის 1 აპრილიდან

გადაეცა „ზაქსელსტროი“-ს

ყოველგვარი შეკითხვებით. რაც „საქართველოს ჩაი“-ს ხსენებულ მშენებლობას შეეხება, დაინტერესებულმა პირებმა და დაწესებულებებმა ამიერიდან უნდა მიმართონ უშუალოდ „ზაქსელსტროი“-ს, მისამართი: თბილისი, ძერჟინსკის ქუჩა № 20. დეპეშისათვის თბილისი, „ზაქ ელსტროი“.

„საქართველოს ჩაი“-ს გამგეობა — „ზაქსელსტროი“-ს სამმართველო.

ბ 251

დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კავშირების

მემინდვრეობის კავშირის, სპეცტეხკულტურკავშირის და მესაქონლეობის კავშირის

(ყოფ. „სოფლის კავშირი“)

ცენტრალური აპარატების გასაწმენდათ

ვსთხოვთ ყველა ორგანიზაციებს და პირებს, რომელთაც აქვთ მამხილებელი საბუთები და ზემოდ აღნიშნულ სასოფლო-სამეურნეო კავშირების თანამშრომელთა მუშაობის დამახასიათებელი მასალები, წარმოუდგინონ ისინი გამწმენდი კომისიის მდივანს ამხ. ჩ ხ ე ი ძ ე ს.—მისამართით: ლუნაჩარსკის ქ. № 8.

წმენდის ხელისშემწყობი კომისია.

ბ 233 3—1

თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტის კოლექტივებისა და საწარმოთა გაერთიანების

„თბილკოლექტივი“-ს

გამგეობა აცხადებს, რომ მან გადასცა ქვემოდ დასახელებული საწარმოები შემდეგ ორგანიზაციებს:

[illegible] ფაბრიკა **„პროლეტარკა“** ბამბის რიგი, № 1 „ზაკტექსტილ“-ს.	ექსპედიციისა და ტრანსპორტის კოლექტივი **„დავალებათა ბიურო“** მედლების რიგი 1 [illegible]-ს
კოლექტივის **„სოლევოი“-ს** მარილის წისქვილები „გრუზსახტორგ“-ს	კოლექტივის **„სოლევოი“-ს** საფინანსო განყოფილება კავშირს „[illegible]“-ს
კოლექტივი **„დაბახანა“** კომუნალური, № 30 სა ართელოს სმუს ის ტყავტრესტს.	საამშენებლო-სარემონტო კოლექტივი **„რკინისგზელი“** [illegible] კავშირს.

კლიენტების, მიმწოდებლებისა და ორგანიზაციების ყოველგვარი წერილობითი პრეტენზია ამ საწარმოთა შესახებ მიიღება კოლექტივების სამმართველოში თბილისი, ვოლოდარსკის ქუჩა, № 3, დილის 10 საათიდან დღის 3½ საათამდე, მხოლოდ 1931 წლის 14 თებერვლამდე, რის შემდეგაც არავითარი პრეტენზია არ მიიღება. ბ. 245

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის ცენტრ. გამგეობა და აღრიცხ. მუშ. გაერთ. ბიურო ამით აცხადებენ, რომ ა.-წ. 15 თებერვლიდან იხსნება

სააღრიცხო-ეკონომიური ინსტიტუტი

რომელსაც ენიჭება უმაღლეს სასწავლებლის უფლებები და ექნება ორი ფაკულტეტი:

1) საბუღალტრო ეკონომიური,
2) სტატისტიკურ ეკონომიური.

თითეულ ფაკულტეტზე იქნება ორი განყოფილება: ქართული და რუსული (მეცადინეობა იწარმოებს საღამოობით).

ინსტიტუტის მსმენელებათ მიიღებიან სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სხვა წამოწყებების ან დაწესებულებების სააღრიცხო საქმეზე მომუშავენი, რომელთაც აქვთ მიღებული საშუალო განათლება და საანგარიშო ან სტატისტიკური დარგში მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ სამი წლისა.

განცხადებათა მიღება სწარმოებს ა. წ. 5 თებერვლამდე. განცხადებებს თანდართული უნდა ჰქონდეს შემდეგი საბუთები (აუცილებელია დედანი):

1) განათლების მოწმობა, 2) მეტრიკული ამონაწერი, 3) მოწმობა სოციალური წარმოშობის. მუშაობის სტაჟის ან მშობლების მდგომარეობის შესახებ, 4) მოწმობა სოციალური მდგომარეობის შესახებ დაქირავებითი სტაჟის აღნიშვნით, 5) ორი ცალი ფოტოგრაფიული სურათი, 6) შევსებული ანკეტები, 7) ჩამოსვლის ან დაწესებულების მივლინების ბარათი.

იმ პირებმა, რომელნიც მივლინებულ იქნებიან ინსტიტუტში წამოწყების ან დაწესებულების ხარჯზე უნდა წარმოადგინონ აგრეთვე მივლინების მოწმობაც.

განცხადებათა მიღება და ცნობათა გაცემა სწარმოებს ყოველ დღე, საღამოს 7—9 საათამდე ვოლოდარსკის ქუჩა № 5 აღრიცხვის საქმეზე მომუშავეთა გაერთიანების ბიუროს კურსებზე. (შრომის ბირჟის მახლობლად, 10-შრომის სკოლის შენობაში).

საბ. სავ. მუშ. პ/კავ პრეზიდიუმი და აღრიცხ მუშაკთა გაერთიანების რესპ. ბიურო.

836

1-ლ თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ვოლოდარსკის ქ. № 11, [illegible] სახალხო კლუბში

დაიწყება

საქართვ. მთიელთა კულტ. საზოგადოების აპარატის საჯარო წმენდა

გამწმენდი კომისია სთხოვს ყველა ორგანიზაციებს და მოქალაქეებს თუ აქვთ რაიმე მასალები აღნიშნულ დაწესებულების თანამშრომლებზე მიაწოდონ გამწმენდ კომისიის მდივანს ამხ. მ ე ნ ა ბ დ ე ს რუსთაველის პრ. № 41, საქ. მთ. კულტ. საზოგ. ბა.

გამწმ. კომის. თავ-რე იტრიევი.

განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ. მიერ მოწყობილია

მასწავლებელთა კოლექტივი-კურსები

ყველა ტიპის სკოლებში შემსვლელთა და საშუალო სასწავლების კურსის დამთავრების მსურველთა მოსამზადებლად. კურსები მოწყობილია განსახკომის ნებართვით და იმუშავებს მისი ორგანოების ხელმძღვანელობით კურსებზე მიიღებიან მხოლოდ კავშირის წევრები და მათი ქმარ-ცოლი და შვილები, რომლებსაც საარჩევნო ხმის უფლება აქვთ. კურსებზე შესვლის მსურველმა აღნიშნულ საბუთებთან ერთად უნდა წარმოადგინონ მოწმობა განათლების შესახებ.

კურსებზე სწავლის ქირა მსმენელმა ყოველთვიურად უნდა გადაიხადოს 20 მანეთი.

განცხადების მიღება სწარმოებს 31 იანვრიდან ყოველდღე საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე, მე 16 შრომის სკოლა. ბინაზე (სამა-ალო ქუჩა) მარჯანიშვილის რაიონი № 9.

განცხადებასა და საბუთებთან ერთად შეტანილ უნდა იქნეს 25 მანეთი (თებერვლის თვის ქირა).

მეცადინეობა დაიწყება თებერვლის პირველ რიცხვებში.

882—2 განათლების მუშ. კავშირის ც. გ.

დაიწყო

მოსამზადებელი მუშაობა სას. სამ. კოოპერაციის კავშირის

„საქღვინოზიდკავშირი“-ს

[illegible] აპარატის თანამშრომელთა წმენდისათვის

ვსთხოვთ ყველა ორგანიზაციებს და პირებს, რომელთაც აქვთ მასალები „საქღვინოზიდკავშირი“-ს შესახებ, ასეთები გამოაგზავნონ გამწმენდ კომისიის მდივნის ა. ჩხეიძის სახელზე.

მისამართით: ელბაქიძის დაღმართი № 12

3—2 ბ. 30 გამწმენდი კომისია.

კოოპერატიული ნადი „ვაზბადაგის“ გამგეობა

ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, ვისაც რაიმე მოწმობა აქვს მიღებული „ვაზბადაგი“-ს გამგეობიდან, რომ ისეთები წარმოდგენილ უნდა იქნას ვადის **გასაახლებლათ** გამგეობაში 4 თებერვლამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა გაცემული მოწმობები ჩაითვლება გაუქმებულათ.

გამგეობა.

გამოცდილი კოლმეურნე-ბუღალტერი

საბუღალტრო კურსებზე

შემსვლელებს ამზადებს მათემატიკაში, აგრეთვე, მოკლე ხანში [illegible] ასწავლის არითმეტიკას და აცნობს პრაქტიკულად ბუღალტერიას.

სულ მოკლე ხანში უსწორებს ხელს წერაში და ასწავლის ლამაზ წერას

მეცადინეობა ქართ. და რუს. ენებზე. ალავერდის მოედანი, ახოსპირელის 1-ლი ჩიხი, № 6, ბინა № 3. (ლერმონტოვის ქუჩ. № 2-ის მახლობლად). 2—1

გამოცდილი ძიძა ეძებს ადგილს

დავითაშვილის ქ. № 7 (ყოფ. ამაღლების) ტატულოვის ბინა, მე-3 სართული.

კ. ს. ფოჩ-ირტელი

სპეც. საშარდე და სასქესო ორგანოების (სქესობრივი სისუსტე), სიფილისის, კანის ავადმყოფობის, ვენერიულის (რონტგენი) და ქრონიკ ავადმ. [illegible]. ავადმყოფების მიღება დილის 9—12 და საღ. 5—8 საათზე. პლეხანოვის პრ. № 10, ვორონცოვის მახლობლად. 13—8

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე სასქესო ორგანოების, სიფილისისა და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყ. „ნოე“-ს) პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8 25—1

მოკლე ხანში ვასწავლი

მათემატიკას

ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, არითმეტიკა

და ვამზადებ უმაღ. შეს.

უმაღლეს სასწავლებლისათვის სამხედრო აკადემიაში ყველა სპეც. დარგზე პროგ. № 164 მუშფაკისათვის, მუშ უნივერ. საბუღალტ. კურსებზე, და [illegible] შესასვლელად ვამზადებ ჩამორჩენილ მოსწავლეებს. მისამართი: პლეხანოვის № 25 და ჩერნიშევის ქუჩის კუთხე № 5. ბინა 1 7 საათამდე. 1—1 7/9

თვალის ექიმი

მ ა ლ ა ე ვ ი

ღებულობს ავადმყოფებს საღამოს 6—7 ს. კლ ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, [illegible]

29 იანვარს ღამით ა. კ. საკონსერვო ტრესტიდან

მოიპარეს ორი საბეჭდი მანქანა,

ერთი „უნდერვუდი“ ხოლო მეორე „მერსედეს“. [illegible] გთხოვთ დაგვიკავშირდეთ და გვაცნობოთ შემდეგ მისამართით: პლეხანოვის ქუჩა № 131.

ა. კ. საკონსერვო ტრესტი

ექიმი

კ. ი. ჯალალოვი

ავადმყოფები [illegible] „914“ ტრიპერისა და [illegible] მკურნალობა. [illegible] დილით 9—1 და საღამოს 6— საათ. [illegible] № 19 [illegible] ტელეფ. 43-25—1

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— 7 წლედის დამთავრების მოწმობა № 38 ქეთია ფილფანაშვილის სახელზე 857
— მუშკოოპის წიგნაკი № 313—გიორგი ფირცხალაშვილის სახ. 858
— პურის წიგნაკი ირაკლი ტატიშვილის სახელზე. 856
— რკ. გზ. კავშირის საწევრო წიგნაკი № 33490 დავით ტროფიმ-ძე გოგოლაძის სახელზე 854
— მუშკოოპის წიგნაკი № 93752—რუბენ აბრამიშვილის სახ. 853
— მუშკოოპის წიგნაკი № 60030 ქეთო ჭიჭინაძის სახ. 849
— მუშკოოპის წიგნაკი № 200897 ვასილ ქუჩულაშვილის სახ. 850
— კავშირის წიგნაკი № 130 ვასილ ჭიჭულაშვილის სახელზე. 851
— პარტიის საკანდიდატო ბილეთი № კ/კ8 93 ვასილ ჭიჭულაშვილის სახელზე. 852
— სამხედრო წიგნაკი თედო სამკურაშვილის სახელზე. 848
— მუშკოოპის წიგნაკი № 202569 ფედორა ოსტროვსკაიას სახ. 847
— პირადობის მოწმობა № 346—მიხეილ ომიაძის სახ 846
— სამხედრო წიგნაკი ივანე ხ ჩუმბურიძის სახელზე 844
— პურის წიგნაკი № 1197 ნინა გაბელაშვილის სახელზე. 841
— პურის წიგნაკი № 3800—შალვა გოგელაშვილის სახელზე. 842
— სამხედრო ბარათი ვლადიმერ გელენიძის სახელზე 344
— საწყობის ქვითარი № 627 ალექსი მუჯირიძის სახელზე. 838
— პურის წიგნაკი [illegible] ტიტეს-ძე სარქისოვის სახ. 835
— პირადობის მოწმობა ზაქარია არტემის ძე დალაქოვის სახ. 833
— პირადობის მოწმობა მიტროფანე დავითის-ძე შენგელიას სახ. 820
— საკანდიდატო ბარათი № 9953 თევდორე პავლეს ძე ჩიტიაშვილის სახელზე. 828
— სამხედრო წიგნ. პარმენ ალექსის ძე მეგრელიშვილის სახ. 825
— საკავშირო წიგნ. № 87 იასონ გიორგის ძე ფუტკარაძის სახ. 824
— პირადობის მოწმობა სიმონ ივანე-ძე იმერლიშვილის სახ. 820

დამწუხრებულნი: და კუზმა კვიტაშვილის ასული ვახაძისა. სიძე ალექსანდრე ვახაძე და დისწული ოთარი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

ალექსანდრე გრიგოლისძე კვიტაშვილი

გამოსვენება 1 თებერვალს, 5 საათზე, გუდოვიჩის ქ. № 12. 812

მწუხარებაში მყოფნი მარგარიტა და გრიშა კიკაბიძეები აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი ძმა

ს ა შ ი კ ო

გამოსვენება 1 თებერვალს საღამოს 5 საათზე. 812

ღრმა მწუხარებით დავტირით ძვირფას მეგობრის

საშიკო კვიტაშვილის

უდროოდ დაკარგვას. უახლოესი მეგობრები: შამარა მდივანი, კოკი [illegible], ხოსო გაჩეჩილაძე, ნოტა ანჯაფარიძე, სოსო ბოლქვაძე, გოგი ქელბაქიანი, ავთანდილ წერეთელი და არჩილ ჯაფარიძე. 821

ვოლოდის სახალხო მეურნეობის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს ძვირფასი ამხანაგის, მეურნეობის თანამშრომლის

ამხ. ვანიჩკა ბერძენიშვილის

უდროოდ და ტრაგიკულად გარდაცვალებას 823

ბაღდათის რაიპარტკომი, რაიაღმასკომი, პოლიტსამმართველო და რაიპროფსაბჭო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ვანის [illegible] საბჭოთა მეურნეობის კომუჯრედის მდივნის

ამხ. ვანიჩკა ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. 823

უახლოესი ამხანაგები: ა. ჩხეტიანი, ს. კეკელიძე, ჰ. ხურციძე, ჰ. ჩხაიძე, ა. მიქაბერიძე, გ. [illegible], ა. გასვიანი, ვ. თალაკვაძე, გ. ვაჭარაძე, ა. კაციტაძე, გ. ხურციძე, ვ. ჯაველიძე, მ. კალანდაძე იუწყებიან ვარციხის საბჭოთა მეურნეობის კომუჯრედის მდივნის

ამხ. ვანიჩკა ბერძენიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. 823

გულდათუთული [illegible] სევასტი, დები: ხადია ქეთო, მარო, ელენე, ძმა დავითი მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი სას. სამ. ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტი

ალექსანდრე (სანდრო) დოლონაძე

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს. 6 საათზე ყოფილ მიხაილის საავადმყოფოში. 860

დამწუხრებულნი: ბიძა ბესარიონი, ბიცოლა ნატო, ბიძაშვილი თამარ დოლონაძეები, ახლო მეგობრები: ალინა და ნიკა, [illegible] იუწყებიან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მე 3 კურსის სტუდენტის

ალექსანდრე სევასტის ძე დოლონაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, ყოფილ მიხეილის საავადმყოფოდან სადგურზე საღამოს 6 საათზე. 864

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი დედა ლიუბა, მამა ვანო, ძმა გიგლა და [illegible] დები ფესვიანიძეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე და ძნელი ავადმყოფობის შემდეგ სოფელ ხორშაში გარდაიცვალა მათთვის მუდამ ჟამს დაუვიწყარი და უსაყვარლესი პატარა

რ ე ზ ი კ ო

დაკრძალვა სოფელ ხორშაში დღეს, კვირას. ბ. 249

ხორშის [illegible] საბჭოთა მეურნეობის [illegible] მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე მეურნეობის თანამშრომლის ვანო ფესვიანიძის საყვარელი შვილის პატარა

რ ე ზ ი კ ო ს

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, კვირას, სოფელ ხორშაში. ბ 249

აბაშის პოლიტსამმართველოს თანამშრომლები: ჯიბო ფაღავა, არჩილ კობახიძე. პანტელეიმონ ჩიქავა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფას ამხანაგის კონსტანტინე წურწუმიას ერთადერთი შვილის

რ ო ზ ი კ ო ს

უდროოდ გარდაცვალების გამო. 79

დამწუხრებული შვილები: ელენე ნ ცვლიშვილისა, იასონი, სიკო, ილუშა და თადეოზი რძლებით: მელანია და ელენე; შვილიშვილები: თინა, გიორგი და ნიშა გოგნიაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი დედა და ბებია

ოლინკა მიხეილის ას. გოგნიაშვილისა

დაკრძალვა 1 თებერვალს, ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება 5 საათზე, ბარონოვის ქუჩა № 45 ბ. 820

უსაზღვროდ დამწუხრებული შვილი ელენე გოგნიაშვილი-ნაცვლიშვილი [illegible] ქმრით ანდრო სიმონის ძე ნაცვლიშვილით, შვილებით: ქეთინო, ლიზიკო, სალომე და თეიმურაზით დასტირიან ძვირფას დედას და ბებიას

ოლინკა მიხეილის ას. გოგნიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1 თებერვალს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება 5 საათზე, ბარონოვის ქუჩა № 45-ბ. 819

მწუხარებაში მყოფი ძმა იაგორ, ვანო და ლევან მიხეილის ძენი გომელაურები ოჯახობით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი და

ოლინკა გომელაური-გოგნიაშვილისა

გამოსვენება დღეს, გუნიბის ქ. № 45. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 832

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ანაა, შვილები: შალვა, ელენე და ირინა, ძმა სიმონი მეუღლით ამაშუკელები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ დღეს 4 ნახ. საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

დავით მელიტონის-ძე ამაშუკელის

ხსოვნის აღსანიშნავად. 8 0

და წუხრებულნი შვილი ოლია, სიძე ტუზია ორჯონიკიძეები [illegible] შვილიშვილები: ვენერა და ლამარათი იუწყებიან. რომ დღეს 4 ნ.ნ. საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

დავით მელიტონის-ძე ამაშუკელის

ხსოვნის აღსანიშნავად. 830

ღრმად დამწუხრებული დედა პასიკო, მამა გალაკტიონი, ქეთო და ოლღა მიქაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ [illegible], 1 თებერვალს ნაშუადღევის 4 საათზე ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ, დაუვიწყარ

თამარა მიქაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. (გ)

გულმოკლულნი: მამა იასონ, დედა ელენტია, ძმები: პანტელეიმონ, გიორგი და აკაკი, დები: მარო და სონა, რძალი ვარო. ძმისწულები: ბ ძინა, ვალოდია და ოთარ ტყემალაძეები. დეიდა კესარია, ბაბუა [illegible] მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

პელო იასონის ასული ტყემალაძის

უდროოთ გარდაცვალებას. 822

გულმოკლული: დედა ანეტა, მამა გუგუ. და ცაცა, ბაბუა [illegible] ქვარიები, [illegible] სამა და ვარდენ ხახუტაშვილები შვილებით, ბიძია გრიშა ქვარაია ცოლ-შვილით იუწყებიან, დაუვიწყარ პატარა

მედეა (მედიკო) ქვარაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზუგდიდში, კვირას, 1 თებერვალს, 5 საათზე. 8 1

დამწუხრებული [illegible] ვარია კალანდარიშვილი-ალიბეგაშვილისა [illegible] მადლობას უძღვნის ყველა იმ დაწესებულებებსა და პირთ, რომელმაც დახმარება გაუწია და პატივი სცეს თავისი [illegible] უდროოდ დაკარგულ საყვარელ

ვანიჩკა ალიბეგაშვილის

839

დამწუხრებული დედა ნადია, ძმა გიორგი მეუღლით ქსენიათი საყვარელიძეები, და თინა მეუღლით [illegible]. ბიძა აქსენტი [illegible], დეიდა რაიელი მეუღლით კატო [illegible], იუწყებიან ძვირფასის

ირაკლი ივანეს-ძე საყვარელიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს. 4 ნახ. საათზე, [illegible] ქ. № 16 ვერის ახალ სასაფლაოზე. 855

თავზარდაცემულნი: ქმარი [illegible], შვილები: შალვა, ნიკოლოზი, გიორგი, [illegible], გოგონა, ნინო, რძლები ნინა, ლოლა, სიძე [illegible] ორჯონიკიძე, შვილიშვილები: გოგია, არჩილი, ვაჟიკო იუწყებიან დაუვიწყარი დედის

მატრონა დევდარიანის

გარდაცვალება. გამოსვენება ყოფ. 1 ლი საავადმყოფოდან დღეს, 4 ნახ. საათზე თბ. სადგურზე. დასაფლავება [illegible] 5 თებერვალს. 8 9

ტირაჟი — 68 539

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტი № 904